ეროვნული ბიბლიოთეკა



# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 2 ივლისი 2002 №120 (1642) | ფასი 50 თეთრი







ბრაზილია

2



გერმანია

0

# ბრაზილიამ მეხუთედ იმშობიარა

**ჩემპიონატი დაიწყო როგორც დეტექტივი, გაგრძელდა როგორც ტრაგიკომედია და დასრულდა სასიყვარულო რომანივით. მთავარმა გმირმა მოახერხა და მიჯნური იპოვა. მთავარი გმირი რონალდოა**

ეროვნული ბიბლიოთეკა




ოლივერ კანი მთელი ჩემპიონატისას ერთხელ შეცდა, რონალდო ჩასაფრებული იყო

# ORDEM E PROGRESSO

## კორეა-იაპონია 2002 ფინალი

## №64 გერმანია 0:2 ბრაზილია

30 ივნისი. იოკოჰამა (იაპონია). 16.00 „იოკოჰამა ინტერნეიშენალ სთედიუმ". 69 029 მაყურებელი

0:1, 0:2 რონალდო (67, 79)




შეცვლა: კლოზე – 20. ბირჰოფი (74), იერემისი – 14. ასამოა (77), ბოდე – 6. ციგე (84), რონალდინიო – 19. ჟუნინიო (85), რონალდო – 17. დენილსონი (90)

გაფრთხილება: როკე ჟუნიორი (5), კლოზე (9)

მსაჯები: პიერლუიჯი კოლინა (იტალია); ლეიფ ლინდბერგი (შვედეთი), ფილიპ შარპი (ინგლისი)

| | | |
|---|---|---|
| 21 | ჯარიმა | 19 |
| 13 | კუთხური | 3 |
| 12 | კარისკენ დარტყმა | 9 |
| 4 | კარში დარტყმა | 7 |
| 1 | თამაშგარე | 0 |

პაპუნა კიდია

**კადრები** წყვეტენ ყველაფერს! – თქვა ოდესღაც ყველა ხალხის მამამ, ბელადმა და გენერალისიმუსმა, ხოლო 2002 წლის 30 ივნისს, იოკოჰამას „ინტერნეიშენალ სთედიუმზე" ბრაზილიისა და გერმანიის ნაკრებთა მონაწილეობით ჩატარებულმა მსოფლიოს მე-17 ჩემპიონატის ფინალმა ეს სიტყვები დაადასტურა.

შეხვედრაში, რომელმაც შემოგვთავაზა ყველაფერი – ტემპი, თანამედროვე დაცვა, კომბინაცია, ტექნიკა, მეკარეთა ოსტატობა, ბურთის ძელისთვის გარტყმა, სხვა მწვავე მომენტები და ასე განსაჯეთ, ახლებური, სარჩულიანი მაისურის ნაკლოვან მხარეებსაც კი გაუსვა ხაზი – გაიმარჯვა გუნდმა, რომელსაც რონალდო ჰყავდა. რონალდოს მხარდამხარ სხვა დიდი ფეხბურთელებიც თამაშობდნენ, ისინი, ვისაც წამიერი გაბრწყინებისგან შედეგის გამოყვანა ხელეწიფებათ.

დიახ, 2002 წლის 30 ივნისს ჩინებული ფინალი ვიხილეთ, ალბათ, მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო. და, რაც მთავარია, ეს იყო საფეხბურთო კლასიკა. მიუხედავად იმისა, რომ აქამდე ბრაზილია და გერმანია ოფიციალურ შეხვედრაში არასდროს გადაყროდნენ ერთმანეთს, მათი თამაში შინაარსითა და დატვირთვით წმინდა კლასიკური გახლდათ, რაც ზოგადად და საერთოდ ხომ დიდებულია, მაგრამ იმ კონკრეტულ შეჯიბრებაში, რომელიც უპირველესად, სწორედ კლასიკური მატჩების ნაკლებობით გვიტოვებდა უკმაყოფილების გრძნობას, განსაკუთრებით მოეფონა გულს.

უპირატესობას ხან ერთი გუნდი ფლობდა და ხან მეორე, სახიფათო მომენტები კი პირველ ტაიმში ბრაზილიელებს ჰქონდათ. გავიხსენოთ: პირველი 15-16 წუთის მერე, როდესაც გერმანია მეტოქეს მთელი ღონით აწვებოდა და ბურთიც მეტწილად სამხრეთამე-




ბრაზილიამ წესრიგი და პროგრესი გამოფინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიკელთა ნახევარზე, ხშირად კი მათ საჯარიმოსთან ტრიალებდა, რონალდინიომ და რონალდომ როგორც საკუთარ, ასევე მეტოქის გულშემატკივრებს წამით სუნთქვა შეუკრეს — რონალდინიოს პასით რონალდო ოლივერ კანთან პირისპირ შეიჭრა, მაგრამ წამის და მეტრის ნაკლებობამ მოხერხებულად დარტყმის საშუალება არ მისცა, რის გამოც ბურთი მისგან მარცხენა ძელთან აცდა მიზანს.

სეხნიათა დუეტმა თხუთმეტი წუთის შემდეგ კიდევ ერთი ხიფათი შექმნა: ხელსაყრელ პოზიციაზე ისევ რონალდო გავიდა, მაგრამ მოძრაობისას მარცხენა ფეხი ამოუბრუნდა და ბურთი ველარ დაიმორჩილა. ამას კლებერსონის მომენტი მოჰყვა — გეხსომებათ, ყვითელმაისურიანთა მე-15 ნომერი თვითონ შევიდა დასარტყმელ პოზიციაზე, დაარტყა და ააცილა, თუმცა ეს ნახევარმომენტადაც შეიძლება ჩავთვალოთ და თუ გნებავთ, განსაკუთრებულ სიმწვავეთა კატეგორიას ნუ მივაკუთვნებთ. ტაიმის წინ მომხდარი კი, როდესაც კლებერსონმა ჩინებულად გაისწორა ბურთი და ხარიხასაც გაარტყა, შეუძლებელია უმწვავეს ეპიზოდთა კატეგორიაში არ ჩავწეროთ, ისევე როგორც მომენტი, როდესაც მსაჯის წამატებულ წუთზე რობერტო კარლოსს დარტყმის ნაცვლად პასი გამოუვიდა, რონალდოსთან მდგომმა მეცელდერმა ბურთი ვერ მოიგერია და საბოლოოდ, რონალდოს მცდელობის შემდეგ ის კანმა იხელთა.

მეორე ტაიმში კი მომენტების თვალსაზრისით უპირატესობა გერმანელებისა იყო, მაგრამ გოლების თვალსაზრისით...

...შესვენების შემდეგ თამაში გერმანიის ნაკრების თვალშისაცემი უპირატესობით დაიწყო. ევროპელებმა კულმინაციად მატჩის ეს მონაკვეთი ჩათვალეს თუ რა იყო, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ მათი, ზოგადადაც კარგი თამაში, მეორე ნახევრის დასაწყისში განსაკუთრებული გახდა და მარკოსის კართან სახიფათო მომენტებმაც არ დააყოვნა: თავიდან ნოივილმა კუთხური რომ ჩააწოდა, ხოლო იერემისმა თავური დაარტყა, ბურთს ედმილსონმა ფეხი გაჰკრა, თორემ ვინძლო, გოლიც გასულიყო. ამას ნოივილის ჯარიმა მოჰყვა — ბურთი ძელმა აისხლიტა, შემდეგ კი... შემდეგ, გერმანელების მომდევნო მომენტამდე ბრაზილიელებმა ორი გოლი გაიტანეს.

პირველი: საჯარიმომდე რამდენიმე მეტრით წინ რონალდომ ორი თუ სამი მოწინააღმდეგის ძლევა ვერ მოახერხა და შეტევა იოლად ჩაიშალა, მაგრამ ჰამანი, რომელმაც ბურთი შეტევის დასაწყებად განზე გაიტანა, ბრაზილიელის სიახლოვეს ველარ გრძნობდა. „ბაჭიამ" ამით ისარგებლა, მეტოქეს წაერთვა, ბურთი წაართვა და რივალდოს მიაწოდა. რივალდომ დაარტყა, კანმა, მიუხედავად იმისა, რომ წინა დღეს ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ დაასახელეს, მისი შემაგრება ვერ შეძლო, წინ გადმოვარდნილს კი რონალდომ მიუსწრო, ფეხი ჰკრა და ფინალის ბედი თუ არა, ამ ბედის ნახევარზე მეტი გადაწყვიტა.

მეორე: მარჯვენა მხრიდან კლებერსონმა დაბალი ჩააწოდა, ბურთთან რივალდო გაჩნდა, მაგრამ მოულოდნელად ფეხებს შორის გაატარა — ბურთი პირდაპირ რონალდოსთან მივიდა. რონალდომ გააჩერა, გაისწორა და გამოზომილი, ტექნიკური დარტყმით კანისგან მარცხენა კუთხეში დაუმიზნა.

აი, ამის შემდეგ ჰქონდათ გერმანელებს კიდევ ორი მომენტი და მართალია, ანგარიში მაინც ვერ შეცვალეს, კითხვა ასე შეიძლება დავსვათ: ფინალში ორი გოლის გაშვების შემდეგ მეტოქის კართან ორი ხიფათის შექმნას როგორი კლასი და სულისკვეთება სჭირდება? ეს კითხვა, ცხადია, რიტორიკულია, მაგრამ მართებული. მომენტებს კი ახლავე შეგახსენებთ: ერთი, ნახევარბრუნით, კარგა ახლოდან დარტყმული ბურთი შეცვლაზე შესულ ბირჰოფს მარკოსმა რომ აუღო და მეორე — მარჯვნიდან, შორეულ კუთხესთან ჩაწოდებულ ბურთს იქ ჩასაფრებულმა მეცელდერმა რომ ვერ უხელთა.

აი, ასე! დიდებულ ბრძოლაში ბრაზილიამ გაიმარჯვა, გერმანია დამარცხდა, ხოლო ჩვენს მიერ ჩამოთვლილ სახიფათო მომენტებში, რომელიმე ისეთი თუ ვერ შევიტანეთ, თქვენ შესატანად რომ მიგაჩნიათ, ბოდიში მოგვითხოვია. თუმცა, ერთი ფაქტია: საკამათო არაფერი მომხდარა! მსოფლიოს კვლავ ღირსეული ჩემპიონი ჰყავს! და კიდევ ერთი ფაქტი: ბრაზილიამ მეხუთედ მოიპოვა პლანეტის უძლიერესი გუნდის ტიტული, ამდენჯერ კი ეს ტიტული სხვას არ მოუპოვებია!

გადის წლები, ეპოქები, ცხოვრება და ფეხბურთი იცვლება, დღეს ფასეულობები სხვაა. იმ ხანას, ლეონიდასი ფეხშიშველა რომ ჯადოქრობდა, რონალდოს გამოზომილ, ბურჟუაზიულ დღევანდელობასთან საერთო აღარაფერი აქვს, მაგრამ არსებობს ერთი მუდმივი ფენომენი — ბრაზილიური ფეხბურთი, რომელიც საკმარისია დროებას მოერგოს და ალასრულოს მოწოდება ამ სამხრეთამერიკული ქვეყნის დროშაზე რომ აწერია — ORDEM E PROGRESSO ანუ წესრიგი და პროგრესი.

და ჩვენი წერილიც სწორედ აქ ამ სიტყვებით დავასრულოთ, ოღონდ, თუ ნებას დაგვრთავთ, ვინაიდან საქმე ფეხბურთს, მით უმეტეს კი ოთხ წელიწადში ერთხელ მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატს ეხება, ბოლოში არც ძახილის ნიშანს დავსვამთ და არც წერტილს. ასე დავასრულოთ:

• • •

## სტენოგრამა

**მე-8 წუთი:** კლებერსონს ოლივერ კანმა აუღო.

**მე-11 წუთი:** ბერნდ შნაიდერის სახიფათო პასი მცველებმა ჩაჭრეს.

**მე-19 წუთი:** რონალდინიოს პასით რონალდო მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ კარს ააცალა.

**30-ე წუთი:** რონალდოს კანმა ბურთი ფეხიდან ააცილა.

**41-ე წუთი:** იენს იერემისმა კარს ააცილა.

**42-ე წუთი:** კლებერსონის დარტყმული ოდნავ ასცდა კარს.

**44-ე წუთი:** კლებერსონის დარტყმული ხარიხას მოხვდა.

**45-ე წუთი:** რონალდოს უძლიერესი დარტყმა მეკარემ მოიგერია.

**47-ე წუთი:** იენს იერემისის სახიფათო თავური უშედეგო გამოდგა.

**50-ე წუთი:** ოლივერ ნოივილის უძლიერესი საჯარიმო დარტყმა მეკარემ ნახტომში მოიგერია. ბურთი ძელსაც მოხვდა.

**56-ე წუთი:** ტორსტენ ფრინგსმა კარს ააცილა.

**58-ე წუთი:** დიტმარ ჰამანის დარტყმული კარს ასცდა.

**64-ე წუთი:** ბერნდ შნაიდერის სახიფათო ჩაწოდებულს ოლივერ ნოივილი ვერ მისწვდა.

**67-ე წუთი:** რივალდოს დარტყმა კანმა მოიგერია, მაგრამ დამატებაზე რონალდომ გაიტანა.

**69-ე წუთი:** ტორსტენ ფრინგსმა არაზუსტად დაარტყა.

**71-ე წუთი:** იენს იერემისმა ოდნავ ააცილა კარს.

**მე-80 წუთი:** კლებერსონ-რივალდო-რონალდოს ულამაზესი კომბინაცია მეორე გოლით დასრულდა.

**83-ე წუთი:** ოლივერ ბირჰოფის სახიფათო დარტყმა მეკარემ ნახტომში მოიგერია.

**84-ე წუთი:** დიტმარ ჰამანმა კარს ააცილა

**90-ე წუთი:** კრისტიან ციგეს მარკოსმა აუღო.



მარკოსმა თავისი წილი იჯადოქრა

REUTERS



REUTERS

რონალდო: მინდა, მადლობა ვუთხრა ნაკრების ყველა წევრს. ტრავმას ორი წელი ვებრძოდი და ფინალის ორმა გოლმა უზომოდ გამახარა. ბედნიერი ვარ, რომ ბრაზილიელებს თასის მეხუთედ დაუფლებაში დავეხმარე. ამ გამარჯვებით განცდილ სიამოვნებას სექსით განცდილს შევადარებ. ისე, ახლანდელი სიამოვნება უფრო მძაფრია, რადგან ძალიან დიდხანს ველოდი

## მატჩის შემდეგ



REUTERS

### რუდი ფიოლერი

***გერმანიის ნაკრების მწვრთნელი***

მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგით უკმაყოფილონი არ უნდა ვიყოთ. ჯგუფურ ეტაპზე კარგად ვითამაშეთ, თუმცა აღვნიშნავ, რომ ოლივერ კანისგან, რომელიც ხანდახან მართლაც სასწაულებს აკეთებდა, დიდად დავალებულები ვართ. ჩვენი თამაში აღრინდელივით გამართული მართლაც არ გახლდათ, ისე ვერ ვთამაშობდით, როგორც საჭირო იყო, მაგრამ მუნდიალს კმაყოფილების გრძნობით ვტოვებ. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ტრავმის გამო ბევრი ფეხბურთელი დაგვაკლდა.

მატჩის შესახებ შემიძლია ვთქვა, რომ კარგად ვითამაშეთ, განსაკუთრებით პირველი ოცდაათი წუთი. იგრძნობოდა, რომ თამაშს ვაკონტროლებდით და მეტოქის კართან ხიფათსაც ვქმნიდით. მაგრამ თამაში გაგრძელდა და ცხადი შეიქნა, რომ ბრაზილია ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე ინიციატივას თანდათან გვართმევდა. ბრაზილიელები ძალიან ძლიერები არიან ერთი-ერთზე, ერთი-ორზეც, აქვთ სწრაფი პასები. რაც დრო გადიოდა, მით უფრო აშკარა ხდებოდა ბრაზილიელთა უპირატესობა.

მეორე ნახევარიც რიხიანად დავიწყეთ, მაგრამ, წინა თამაშებისგან განსხვავებით, გოლის გასატანად ძალა არ გვეყო. ამიტომაც მოწინააღმდეგეს ჩვენი თამაში ვერ ვუკარნახეთ. შემდეგ დაღლილობამაც იჩინა თავი. ეს განსაკუთრებით ბრაზილიელთა სწრაფ თავდამსხმელებთან პაექრობის დროს შეიმჩნეოდა. მათმა ინდივიდუალურმა ოსტატობამ, უსწრაფესმა ფინტებმა ჩვენი ნაკრები გაალგნა. მეტი რომ აღარ გავაგრძელო, ვიტყვი: ბრაზილიის ნაკრები ჩინებული გუნდია.



REUTERS

### ლუიშ ფელიპე სკოლარი

***ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი***

უზომოდ ბედნიერი ვარ, ისევე როგორც მთელი ბრაზილიელი ხალხი. ჩემპიონატის შვიდივე მატჩის მოგება, დიდი სამუშაოს შესრულება, ჩემპიონობის შეგრძნება ეიფორიისკენ მიბიძგებს. ისტორიული მომენტია — ბრაზილიელები კვლავ სამშობლოში აბრუნებენ მსოფლიოს თასს და ეს მართლაც მძიმე და სწორი მუშაობის დაგვირგვინებაა.

ტრიუმფი ძირითადად ნაკრებში შექმნილმა ატმოსფერომ განაპირობა. ფეხბურთელები ერთი მიზნით იყვნენ გამსჭვალულნი. ბრაზილიაში მეორეადგილოსნებს ზედაც არავინ შემოგვხედავდა. ეს ყოველთვის ასე იყო და ბიჭებმაც იცოდნენ. თუმცა ფინალის წინ მათ ამის დავიწყება ვთხოვე. მათაც ფსიქოლოგიური წნეხი მოიხსნეს და ლაღად ითამაშეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გვიყვარს ფართი ზამთარში
## ჯეტისმქნეველთა სალამი



**ყვითელსა** და მწვანეში ჩაეფლო სრულიად ბრაზილია, ქუჩები ეროვნული დროშის ფერებით დაიღლაბნა, ლხენა და ლრეობა, ცხადია, ბრაზილიელთა მეხუთედ გაჩემპიონებას მოჰყვა.

პორტუგალიური ფრაზა — PENTA CAMPEAO რასაც ნიშნავს, უკვე მთელმა მსოფლიომ გაიგო.

პორტუ სეგურო კი ბრაზილიის დაბადების ადგილია, პორტუგალიელებმა ფეხი იქ პირველად 1500 წელს შედგეს და ზეიმი პალმათა ხეივნებით მორთულ ქუჩებში ამ ალაგსაც ეწვია.

ლხენა იყო რიოშიც, სან პაულუში და საერთოდ ყველგან. ჩვენ ბედნიერები ვართ, ბრაზილიას გული მაგრად უცემს, ჩვენ ერთად ვართ, ჩვენმა ქვეყანამ იბრძოლა და მოიგო...

სიტყვები თითქმის ერთნაირი გახლდათ, იქნებოდა ეს ფესვით ინდიელი, აფრიკელი და პორტუგალიელი თუ ბრაზილიელისა...

ერთნაირი იყო ის აურაცხელი „ფართი", ბრაზილიის სხვადასხვა კუნჭულში რომ მოეწყო.

სან პაულუს ბაირამცენტრ ავენიდა პაულისტაში „ფართიზე" ორმოცდაათი ათასი მოქეიფე მივიდა, რიო დე ჟანეიროს ალზარაზე ათი ათასით ნაკლები — მათ ჯერ ფინალს უყურეს ვებერთელა ეკრანზე და მერე უცნობილეს კოპაკაბანას პლაჟზე გამწკრივდნენ, ზამთრის კაშკაშა მზეს მიეფიცხნენ და შეუბერეს.

ხალხი ორშაბათს სამსახურში არ გასულა. 170-მილიონიანი ბრაზილია, პორტუგალიელებით, ზანგებით, ინდიელებით და არაბებით, ფეხბურთმა მაგრად გადასკვნა.

ზეიმი იყო ვენესუელაშიც. დედაქალაქ კარაკასში ქვეყნის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა რადიოთი და ტელევიზიით მიმართა ხალხს: „კარაკასის ქუჩებში დღეს ზეიმი გვაქვს... ვივა, ბრაზილ!"

ვენესუელა უფრო ბეისბოლის ქვეყანაა და მათი ნაკრები კორეა-იაპონიაში რომ ვერ მოხვდა, დიდად არც უნაღვლიათ, მაგრამ ბრაზილიელთა ჩუბინობა ჯიგრიანად დაამღერეს დედაქალაქის ქუჩებში. 47 წლის ჩავესმა მილოცვა გაუგზავნა ბრაზილიის პრეზიდენტს. ჩავესმა ფინალის შედეგი წინადლით იწინასწარმეტყველა, ბრაზილია 3:0-ს მოიგებსო. „თითქმის გამოვიცანი" — ასე იმართლა თავი პრეზიდენტმა ფინალის მეორე დღეს.



მსოფლიოს თასი ბრაზილიელმა ინდიელებმაც ირგუნეს

ვენესუელა ემიგრანტული წარსულით ფართო სპექტრის ქვეყანაცაა. იქ ესპანეთს, იტალიასა და პორტუგალიასაც ქომაგობდნენ, ფინალისთვის კი ბრაზილია შემორჩათ.

და რონალდო. ხანდახან ძალიან ძნელია, სიტყვით გადმოსცე რაღაც და ვგონებ, ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. სიტყვით ამჯერად მხოლოდ ზედაპირულად თუ მოვიცავთ რონალდოს ფენომენს და სჯობს, თავად რონალდოს მოვუსმინოთ: „მე არ ვგრძნობდი თავს ვიღაცის მოვალედ, მაგრამ სიმძიმე ჩემს ცნობიერებას მართლაც აწვა. ახლა თავისუფალი ვარ — ამბობს კაცი, რომელიც ტრავმების გამო, ფაქტობრივად, ორი წელი უსაქმოდ იყო — არ მინდა მომავალზე ფიქრი. უბრალოდ, ახლა ვცდილობ, იმაზე ვიფიქრო, თუ როგორ ვიზეიმო."

ტრიუმფის შემდგომ პირველ სიტყვებს რონალდომ ესეც მიაყოლა: „ძალიან ბევრი რამ დამიგროვდა, რის გამოც ღმერთს მადლობას ვწირავ. ჩემი უმთავრესი მიღწევა ის არის, რომ კვლავ ვთამაშობ ფეხბურთს, კვლავ დავრბივარ და კვლავ გამაქვს გოლი. დღევანდელმა მონაპოვარმა დააგვირგვინა ჩემი ბრძოლა, ჩემი გამოჯანმრთელება."

**დავით თავართქილაძე**



ღარიბთა უბნებს ჩემპიონობამ პრობლემები დროებით დაავიწყა

# მომავალი ჩვენია?!
## რაზედ მოუწყენია ბრაზილიას

**რა არის** ბრაზილია?

ლამაზი ფეხბურთი, მკერდ-გავა მოშიშვლებული მადიანი ქალები, დანგრეული ეკონომიკა, ქაოსი, კორუფცია, სიბნელე და სილატაკე.

მუნდიალამდე ბრაზილიელი კომენტატორები ბევრს კამათობდნენ — თუ ეროვნული გუნდი მსოფლიოს ჩემპიონი გახდება, რას მოუტანს ეს ქვეყანას, ქაოსის დასასრულს თუ სიბნელისა და კორუფციის კიდევ უფრო გამძვინვარებასო.

ბრაზილია ჩვენ იმით გვჯობს, რომ იქ ფეხბურთში არსებული კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად კონგრესის საგამოძიებო კომისია შეიქმნა და ამ სტრუქტურის მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ საფეხბურთო მოხელეები მექრთამეობასა და დაუდევრობაში დაადანაშაულა.

ახლა ბრაზილიას ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი ნაკრები ჰყავს, მაგრამ ბევრი უკვე თითების კბენას შეუდგა შიშის გამო — ვინძლო, ამან ცუდმოხელეთა პოზიციები გაამძლავროს და რეფორმებს გზა მოუჭრასო. ასეთი პარადოქსული ლოგიკის მყარი საფუძველი ბრაზილიაში მართლაც არსებობს.

მაშ, რა ელის ბრაზილიურ ფეხბურთს?

COPA AMERICA 2003 წელს უნდა ჩატარდეს, მაგრამ ტურნირს, ალბათ, ერთი წლით გადაწევენ და ბრაზილიის ეროვნულ გუნდსაც ამხანაგური მატჩებით მოუწევს თავის შექცევა.

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია ამ საქმეს თავისებურად უდგება — ვისაც ამხანაგურ მატჩებში ბრაზილიასთან ბურთაობა გსურთ, 500 ათასი დოლარი გადაგვიხადეთ, ჩვენი პრესტიჟი იაფი როდი ღირსო.

ბრაზილიელი ჟურნალისტები ხშირად მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ სწორედ ფინანსური მხარე განსაზღვრავს თუ სად და ვისთან თამაშობს ამხანაგურად ბრაზილიის ნაკრები.

შედეგად, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციასთან საქმეს ისეთი ქვეყნების ფედერაციები იჭერენ, როგორებიცაა ავსტრალია, ლიტვა, ისლანდია, პანამა, ანდორა...

თამაშები პლუს სპონსორული შემოსავალი „ნაიკისგან" — ასე ივსება ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის სალარო და ამაზე ხელს ცუდმოხელეებიც ითბობენ.

კონგრესის სამძებროს ბოლო ცნობით, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციას გასავალი შემოსავალზე მეტი აქვს. სენატორ ჟერალდუ ალტოფის თქმით, ფედერაციას ჯამში 8,9 მილიონი დოლარი აქვს ვალი, რაც 1995-2000 წლებში დაუგროვდა. ალტოფის რწმუნებით, ეს ადმინისტრაციულ მუშაკთა დაუდევრობის შედეგია.

„რიკარდუ ტეიშეირა, როგორც ფედერაციის პრეზიდენტი, პასუხისმგებელია იმ გარემოს შექმნაში, რამაც ადმინისტრაციული კოშმარი მოამწიფა" — ესეც სენატორ ალტოფის სიტყვებია.



პრეზიდენტობის კანდიდატმა ლუკა და სილვამ (მარცხნივ) ხალხს სიხარული დაანახა

ბრაზილიის ეროვნულ ჩემპიონატში კი ერთი ქაოსია, სადაც, ვისაც რა მოესურვება, იმას აკეთებს. არადა, ორიოდე წლის წინ უკეთ იყო საქმე, საკანონმდებლო დავა რაღაც შეზღუდვას აწესებდა, მაგრამ ახლა ყველაფერი უარესობისკენ წავიდა.

ბრაზილიური ფეხბურთი ერთ-ერთი ყველაზე უხეშია. იქაური ჩემპიონატის მატჩში საშუალოდ 60 ჯარიმა ინიშნება — ყველაფერ ამით აჭრელ-ათქვეფილი საფეხბურთო ბრაზილიას ისეთი მსოფლიოს მძლეველი ნაკრები ჰყავს, რომელსაც ახლა შვებულება ეწყება.

მწვრთნელ ლუიშ ფელიპე სკოლარის ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი კვირას დაუმთავრდა და მას არ უთქვამს, სურს თუ არა პოსტზე დარჩენა. წარმატების შემდეგ მას შეუძლია სხვა სამუშაო აჯობინოს ნაკრების მწვრთნელობას, რათა ახლადშეძენილ რეპუტაციისთვის რისკი არ გასწიოს.

როგორც სკოლარიმ ფინალის შემდეგ თქვა: „ბრაზილიელებს შეუძლიათ იყვნენ დისციპლინირებულნი მაშინ, როცა ეს ჩვენ გვჭირდება."

სამწუხაროდ, ისე ჩანს, რომ ეს მხოლოდ ოთხ წელიწადში ერთხელ ხდება.

**დავით თავართქილაძე**

# კორეა-იაპონია 2002
## მატჩი მესამე ადგილისთვის

# №63 ს. კორეა 2:3 თურქეთი

29 ივნისი. ტეგუ (კორეა). 16.00 „ტეგუ უორლდ ქაფ სტადიუმ". 63 483 მაყურებელი

0:1 შუქური (1), 1:1 ე. ლი (9), 1:2, 1:3 ილჰანი (13, 32), 2:3 ჩ. სონგი (90)

1 ვ. ლი

მწვრთნელი გუს ჰიდინკი

22 ჩ. სონგი, 15 მ. ლი, 20 მ. ჰონგი, 13 ე. ლი

6 იოო

21 პარკი, 10 ი. ლი

14 ჩ. ლი

9 სეოლი, 19 ანი

9 ჰ. შუქური, 17 ილჰანი

10 ბაშთურქი

21 ემრე ბელოზოღლუ, 22 დავალა უმითი

8 თუგაი

18 ერგუნი, 3 ბიულენთი, 5 ალფაი, 4 ფათიჰი

მწვრთნელი შენოლ გიუნეში

1 რუშთუ

შეცვლა: ემრე ბელოზოღლუ – 20. ჰ. უნსალი (41), მ. ჰონგი – 7. ტ. კიმი (46), ე. ლი – 16. ჩა (65), დავალა უმითი – 7. ოკანი (76), სეოლი – 8. ტ. ჩოი (79), ბაშთურქი – 14. ტაიფური (86)

გაფრთხილება: ე. ლი (23), თუგაი (50), რუშთუ (83)

მსაჯები: საად მანე (ქუვეითი); ალი ალ-ტრაიფი (საუდეთი), ექტორ ვერგარა (კანადა)

| | | |
|---|---|---|
| 10 | ჯარიმა | 15 |
| 10 | კუთხური | 4 |
| 10 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 10 | კარში დარტყმა | 6 |
| 2 | თამაშგარე | 5 |


ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS

რუშთუმ იმდენი ბურთი მოიგერია, ბარე სამ თამაშს ეყოფოდა

# მესამე და ილჰანის სამართალი

**ვაჟა ხუციშვილი**

**ჩემს** წამზომზე მატჩის დასრულებამდე დაახლოებით 90 წუთი იყო დარჩენილი, როცა...

ასე არ გამოვა. პირიქით სჯობს. შეხვედრა დაიწყო, მასპინძლებმა ბურთი საკუთარი საჯარიმოსკენ გააქანეს და მცველს ჩააბარეს, რამე მოიფიქრეო. მანაც ისე დააჭირა ბურთს ფეხი, თითქოს მინდვრის გახვრეტას ლამობდა. ილჰან მანსიზი გაუწყრა, გაზონს რატომ აფუჭებო და კორეელი დასაჯა. ბურთი წაჰგვარა, ჰაქან შუქურს მიუგორა და მოხდა ის, რასაც მთელი თურქეთი წინა ექვს მატჩში ამაოდ ელოდა — „ბოსფორის ბუღამ" გოლი გაიტანა.

ფეხბურთი ის თამაშია, მოედნის ცენტრიდან რომ იწყება. არც ეს მატჩი ყოფილა გამონაკლისი. ამ ბოლო დროს ცენტრში გათამაშებულ ბურთს უმეტესად მეტოქის ნახევარზე აგზავნიან. კორეელებმა რატომღაც ეს არ ისურვეს და საკუთარ კარში გოლიც მიიღეს.

ჰაქან შუქურმა ნამატჩევს მასპინძელ ფეხბურთელებს ხელი გადახვია მეგობრობის ნიშნად. რატომაც არა? ჰაქანი ხომ მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში უსწრაფესი გოლის ავტორი გახდა. ამ ამბავში ილჰან მანსიზს ლომის წილი თუ მიუძღვის, კაცის წილი კორეელთაც ეკუთვნით.

მესამე ადგილისთვის მატჩები ყოველთვის ლაღი და უხვგოლიანია. ახლაც ასე იყო. თან ისეთი გუნდები შეხვდნენ, შეტევა რომ უყვართ. სხვა საქმეა, ამას რამდენად კარგად ახერხებენ.

ილჰან მანსიზმა ადრე ნათქვამი დაამტკიცა, მე და ჰაქან შუქური ერთად თუ ვითამაშებთ, გოლის გატანა უფრო გაგვიადვილდებაო. აღდგომა და ხვალეო, 11 წამში შენოლ გიუნეშს თავისი შეცდომის აღიარება მოუხდა. თურქული პრესა მწვრთნელს ჩემპიონატის დაწყებიდან ჩასჩიჩინებდა მანსიზის თაობაზე, ეგ ბიჭი სასტარტო შემადგენლობისა არისო. გიუნეშმა, როგორც იქნა, შეისმინა, თუმცა უკვე გვიან იყო, თურქებს ნახევარფინალი წაგებული ჰქონდათ. ამ შეცდომის გამო მწვრთნელს ხშირად წამოაძახებენ სამშობლოში, აი, თავიდანვე რომ ძირითადში გყოლოდაო...

არ ითამაშა ჰასან შაშმა. მას დასვენების საშუალება მისცეს. შაშმა ჩემპიონატის განმავლობაში იმდენი იბზრიალა, რომ საკმაოდ დაქანცული იყო. კორეელებმა კი, ისევე იბურთავეს, როგორც სჩვევიათ — გუს ჰიდინკისგან ნასწავლი ზედმიწევნით გადააქვთ მოედანზე. ერთი ეგაა, მეგოლე არ ჰყავთ და შეტევის გადამწყვეტ ფაზაში მოიკოჭლებენ.

დასანანია, რომ ჰოლანდიელს ზედიზედ მეორედ მოეცადა ხელი ბრინჯაოსთვის ბრძოლაში. ოთხი წლის წინ ხორვატებმა არ დაანებეს, ახლა კი თურქებმა. მიუხედავად მარცხისა, ჰიდინკი ისევ კორეელი ხალხის სათაყვანებელი კაცია.

თავად მატჩი ცოცხალი და თვალსასეირო გამოდგა. სწრაფმა გოლმა ინტრიგა უფრო გაამძაფრა. მასპინძლებმა თავისებურად შეუბერეს. ფლანგებზე ისე დაქროდნენ, თურქ მცველებს მათი დევნა უჭირდათ. რუშთუს კართან ხიფათიც უმეტესად ფლანგურ გარღვევებს მოსდევდა. საგულისხმოა, რომ კორეელები გვერდით ხაზზე ბურთს ისე აგორებდნენ, თითქოს მიწებებულიაო. სამაგიეროდ, აზიელებს საჯარიმოში ბურთის ჩაწოდებისას სიზუსტე აკლდათ. ხშირად ძალიან უმისამართო პასებს აკეთებდნენ. ალბათ, არც ისე ადვილია, თითქმის რეაქტიულ სისწრაფეს ზუსტი პასი შეუხამო.

თურქთა კარში მართლაც ლამაზი გოლი გავიდა. ასეთი საჯარიმოებით ჩემპიონატზე ნამდვილად არ ვყოფილვართ განებივრებულნი. ეულ-იონგ ლიმ ბურთი ისე ზუსტად შეაბრძანა ცხრიანში, რუშთუ ვერაფრით შესწვდებოდა. გაბრაზებულმა მეკარემ ცოცხალ კედელს დაუწყო ჩხუბი, უნდა ამხტარიყავითო.

კორეელებმა გაათანაბრეს და კიდევ მოინდომეს გატანა. მაგრამ მეტოქემ კორეელები ორჯერ დაიჭირა კონტრშეტევაზე და შენოლ გიუნეშს ეგებ, გულმა რეჩხი უყო — მისგან უარყოფილმა ილჰან მანსიზმა დაახლოებით ოცწუთიან მონაკვეთში ორი გაიტანა.

მეორე ტაიმი უგოლოდ გაილია, მაგრამ იმდენი საგოლე მომენტი შეიქმნა, სამ-ოთხ მატჩს ეყოფოდა. რუშთუ გაუვალი აღმოჩნდა და ბევრი ბურთი მოიგერია. ჰაქან შუქურმა კი ძველებურად ითამაშა — ველარც პასებს აკეთებდა, ველარც კარში ურტყამდა.

მასპინძლებმა ბოლოს მაინც იძალეს და ერთი კიდევ გაქვითეს. დრო აღარ ეყოთ, თორემ ისე მიაწვნენ, ალბათ, გაათანაბრებდნენ.

## მატჩის შემდეგ

### შენოლ გიუნეში
*თურქეთის ნაკრების მწვრთნელი*

უზომოდ მიხარია, რომ საქმე გმირულად დავასრულეთ. ბევრჯერ მითქვამს, აქ ამაყად ჩამოვედით-მეთქი, ახლა კი თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სამშობლოშიც ამაყად მივემგზავრებით. თურქ ხალხს უყვარს თავისი გუნდი, ვფიქრობ, მათი ხვალინდელი შეხვედრა შეყვარებულთა პაემანს დაემსგავსება.

ევრო 2000-ის შემდეგ ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის დავიწყეთ მზადება, მაგრამ მაშინ რას წარმოვიდგენდით, თუ ამდენს მივაღწევდით. თუმცა ახლა ვფიქრობ, რომ თასის მოგებაც შეგვეძლო. თურქეთის ნაკრებმა ბევრი ისეთი რამ გააკეთა, რაც სხვებმა ვერ შეძლეს — ჩემპიონატის უსწრაფესი გოლი გავიტანეთ, ვეთამაშეთ ორივე მასპინძელს და ორივე დავამარცხეთ. ასევე ორჯერ შევხვდით ჩემპიონ ბრაზილიას და ტოლ-სწორად ვეთამაშეთ.

### გუს ჰიდინკი
*სამხრეთ კორეის ნაკრების მწვრთნელი*

არ ვმალავ, რომ ყველაზე დიდ სიამოვნებას ფეხბურთელებთან მუშაობა მანიჭებს. 2 იანვრიდან მოყოლებული, კორეის ნაკრებთან ყოველდღე ვიყავი, ყველანი ერთმანეთს შევესისხლხორცეთ. ახლა კი ეს ურთიერთობა დროებით მთავრდება, მაგრამ იმედი მაქვს, რომ იგი მალე გაგრძელდება და ამით ორივე მხარე მოვიგებთ.

მსოფლიოს ჩემპიონატამდე ხშირად მეკითხებოდნენ მომავალზე, თუმც ამაზე საუბარი არ მსურდა. ლაპარაკობდნენ ჩემსა და „ლიდს იუნაიტედის" კავშირზე, მაგრამ ეს ასე არ არის. მსოფლიოს ჩემპიონატის მიმდინარეობისას ჩემს ერთადერთ საზრუნავს კორეის ნაკრები წარმოადგენდა და საქმეც ბოლომდე მივიყვანე. მომავალში რა იქნება, რამდენიმე კვირაში გაირკვევა.

## სტენოგრამა

**პირველი წუთი:** ილჰან მანსიზმა მცველს ბურთი აართვა და ჰაქან შუქური მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. შუქურმა უნაკლოდ დაარტყა.

**მე-5 წუთი:** ეულ-იონგ ლის დარტყმული კარს ასცდა.

**მე-7 წუთი:** ემრე ბელოზოღლუმ კარს ააცილა.

**მე-9 წუთი:** ეულ-იონგ ლის ულამაზესი საჯარიმო დარტყმა — 1:1.

**მე-11 წუთი:** ჩუნ-სოო ლის დარტყმული მეკარემ მოიგერია.

**მე-12 წუთი:** ჰაქან შუქურის კარგი პასით ილჰან მანსიზმა იხეირა.

**მე-18 წუთი:** ანმა კარს გადააცილა.

**21-ე წუთი:** ანმა მცველი ჩამოიშორა, მაგრამ მეკარემ ურთულესი ბურთი აიღო.

**32-ე წუთი:** ჰაქან შუქურის და ილჰან მანსიზის მოკლე კომბინაცია კიდევ ერთი გოლით დასრულდა.

**34-ე წუთი:** ჩუნ-სოო ლის დარტყმული არაზუსტი გამოდგა.

**36-ე წუთი:** ჩონგ-გუგ სონგის გასროლილს მცველი გადაეფარა.

**37-ე წუთი:** ჰაქან შუქურის თავური მეკარემ მოიგერია.

**41-ე წუთი:** იუნგ-ჰვან ანის გოლი თამაშგარეს გამო არ ჩაითვალა.

**44-ე წუთი:** ჰაქან შუქურს მეკარემ აუღო.

**45-ე წუთი:** კი-ჰეიონ სეოლმა არაზუსტად დაარტყა.

**52-ე წუთი:** ჩონგ-გუგ სონგმა ოდნავ ააცილა კარს.

**55-ე წუთი:** ეულ-იონგ ლის დარტყმულს მეკარე გაუმკლავდა.

**58-ე წუთი:** ჰაქან შუქურის თავური კარს ასცდა.

**65-ე წუთი:** ჯი-სუნგ პარკს ბურთი რუშთუმ აართვა.

**მე-80 წუთი:** ჩუნ-სოო ლის დარტყმული მეკარემ გააუვნებლა.

**83-ე წუთი:** ანის დარტყმამ მიზანს ვერ უწია.

**84-ე წუთი:** დოო-რი ჩას მეკარემ აუღო.

**85-ე წუთი:** ჩონგ-გუგ სონგის გასროლილი კვლავ რუშთუს ნადავლი გახდა.

**88-ე წუთი:** რუშთუ რეჭბერს ჩუნ-სოო ლიმ ვერ აჯობა.

**89-ე წუთი:** დოო-რი ჩას თავური ოდნავ ასცდა კარს.

**90-ე წუთი:** ჩონგ-გუგ სონგის შორეული დარტყმა თურქთა კარის მარჯვენა კუთხეში შევარდა.



REUTERS

თუგაი ქერიმოღლუმ ჯი-სუნგ პარკი დაღრიალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰასან შაშის გამზირი
## უშენოდ ვეღარ გავძელით




ჰაქან შუქურს პირველი შვილი მიესალმა

**კორეიდან** თურქეთის ნაკრების გამგზავრების წინ დიდი ამბები მოხდა. ჯერ ვიღაცამ დარეკა, მგონი, თვითმფრინავში ბომბი უნდა იყოსო. ინჩეუნის აეროპორტის ანგარში მდგარი თურქული თვითმფრინავის საგულდაგულოდ შემოწმებას დაახლოებით სამი საათი დასჭირდა. შემდეგ, როცა შემოწმება დასრულდა, ტრანსპორტი ულსანში გაფრინდა, სადაც ფეხბურთელები ელოდნენ. სასტუმროდან გამოსულები აეროპორტის გზას დაადგნენ და ახლა საცობში მოყვნენ. საცობი კი საგზაო შემთხვევამ გამოიწვია — ორი ავტობუსი ერთმანეთს დაეჯახა.

ბოლოს, როგორც იქნა, თურქებმა აეროპორტამდე მიაღწიეს.

ულსანიდან აფრენილებს გზად საწვავი შემოაკლდათ. იძულებითი დაშვება ტაშკენტში შედგა. საწვავი დაიმატეს. უზბეკეთში მცხოვრებმა თურქებმა თანამემამულეთა იქ ყოფნის ამბავი რომ შეიტყვეს, აეროპორტს მიაწყდნენ, მაგრამ არც ფეხბურთელები ჩამოსულან თვითმფრინავიდან, არც გარეთ მყოფნი შეუშვეს.

ამ დროს კი სტამბოლში საზეიმო დახვედრისთვის ემზადებოდნენ. ორი F-16 ჰაერში აიწია და თვითმფრინავი მუსტაფა ქემალ ათათურქის სახელობის აეროპორტამდე მიაცილა. იქაურობა, ცხადია, ხალხით გადაჭედილიყო. თეთრ-წითელი, ვარსკვლავმთვარიანი დროშების ზღვა ბრინჯაოს მედლოსნებს ელოდა.

ორსართულიან გადახურულ ავტობუსში მოკალათებულ ფეხბურთელებს მოზეიმე თანამემამულენი შეძახილებით შეეგებნენ: „თურქეთის ნაკრები უძლიერესია მსოფლიოში!" „თქვენ გმირები ხართ!" და ასე შემდეგ. ნაკრების პატივსაცემად სახელდახელო კონცერტიც გაიმართა. სტამბოლში დიდ ეკრანზე წარამარა ატრიალებდნენ თურქების მიერ გატანილ გოლებს. ასე გაგრძელდა მთელი ღამე. რამდენიმე საათში ასიათასობით დროშა გაიყიდა.

შენოლ გიუნეშს ულოცავდნენ. მწვრთნელიც ენაწყლიანობდა: „უბედნიერესი ადამიანი ვარ. წარმატებას უდიდესი შრომის ფასად მივაღწიეთ. ორ წელიწადში შეიქმნა გუნდი, რომელმაც მსოფლიოს სიმპათია დაიმსახურა. ასევე უნდა გავაგრძელოთ. მადლობას ვუხდი გულშემატკივრებს, ჩვენებსაც და კორეელებსაც. ფეხბურთელებმა თურქ ხალხს უზომო სიხარული მიანიჭეს და თვითონაც დამსახურებულად გაიხარეს. ამიერიდან მხოლოდ გამარჯვებაზე უნდა ვიფიქროთ, ამისთვის კი ისევ ხალხის თანადგომა გვჭირდება — ლაპარაკით არა, საქმით. შემთხვევით არაფერი ხდება. ცხადია, ფინალში გასვლა გვსურდა, მაგრამ ბრაზილიას ვერ გავცდით. რომ მოგვეგო, მჯერა, მსოფლიოს თასით ხელდამშვენებულნი დავბრუნდებოდით."

თურქთა მწვრთნელმა ჰაქან შუქურზეც თქვა: „რაც უნდა ცუდ ფორმაში იყოს, ის გუნდისთვის მაინც შეუცვლელია. მან ეს ბოლო შეხვედრაშიც დაამტკიცა, როცა ჩემპიონატების ისტორიაში უსწრაფესი გოლი გაიტანა და გამარჯვებას საფუძველი ჩაუყარა."

თავის მხრივ „ბოსფორის ბულამაც" შეაქო მწვრთნელი: „თვალნათლივ გამოჩნდა, რომ გიუნეში უდიდესი სპეციალისტია. მასთან ერთად თურქეთის ნაკრები კიდევ ბევრჯერ გაიმარჯვებს."

ჰაქან შუქურს სიხარულის სხვა მიზეზიც აქვს. ოჯახში მეორე შვილის დაბადებას ელიან: „პირველი შვილი რომ შეგვეძინა, მაშინ „გალათასარაიში" ვთამაშობდი და უეფას თასი მოვიგეთ, ახლა კი მუნდიალის ბრინჯაოს მედლები. ფინალში რომ გავსულიყავით, ჩემპიონები გავხდებოდით. ძალიან შეკრული და მეგობრული ნაკრები გვყავს. ბრაზილიასთან მარცხის შემდეგ მთელი ღამე არ მიძინია — ვტიროდი. თანაგუნდელები დამეხმარნენ და ჩემი გოლი მაინც გავიტანე. ვულოცავ თურქ ხალხს, ისინი გაცილებით მეტს იმსახურებენ."

თანაგუნდელს ილჰან მანსიზიც შეეხმიანა: „ჰაქანი ჩემთვის უფროსი ძმასავით არის. ჩვენ ძალიან კარგად ვუგებთ ერთმანეთს. ეს კორეასთან მატჩშიც გამოჩნდა. მართალია, მას მანამდე გოლი არ გაეტანა, მაგრამ ჰაქანი ყოველთვის ნაკრების ლიდერი იყო. მოედანზე მისი ყოფნა ბევრს ნიშნავს."

თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ციფრები მოიშველია: „196 გუნდიდან ფინალურ ეტაპზე 32 გავიდა — მათ შორის თურქეთის ნაკრებიც. ამ 32-ს შორის ჩვენ მესამენი ვართ. ფინალში გერმანიას აუცილებლად მოვუგებდით და ჩემპიონის ტიტულიც დაგვრჩებოდა. ფეხბურთის ისტორიაში პირველი მუსულმანები ვართ, ასეთ დონეს რომ მიაღწია. უსწრაფესი გოლის ავტორიც თურქია. ახლა ჩვენი მიზანი ევროპის ჩემპიონობაა, შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გასვლა. მიხარია, რომ ქვეყანას ასე შეღულაბებულს ვხედავ. ბრწყინვალე დახვედრა მოგვიწყვეს, რისთვისაც ქომაგებს ვემადლიერები."



თურქებმა შენოლ გიუნეშს, უფრო მაღლა აგვაგდეო

უდიდესი წარმატების მიუხედავად, რომელსაც თურქეთის ნაკრებმა მიაღწია, ზოგიერთი ჟურნალისტი მაინც არ ცხრება და შენოლ გიუნეშის შეცდომებს მისტირის. მაგალითად, გაზეთ „სთარის" მიმომხილველი: „მესამენი კი ვართ, მაგრამ ჩვენი გუნდის შესაძლებლობიდან გამომდინარე ფინალში გასვლას ვიმსახურებდით. და რატომ ვერ მოვხვდით ფინალში? იმიტომ, რომ მწვრთნელმა მთავარი იარაღი არ გამოიყენა. ეს იარაღი შუქურ-მანსიზის დუეტია. ნეტავ, თავიდანვე ერთად გაეყვანა მოედანზე. ისინი ერთმანეთს შესანიშნავად უგებენ, რაც კორეელებთან ყველამ ვნახეთ. მათ ბრაზილიასთან ნახევარფინალური შეხვედრა ერთად რომ დაეწყოთ, მეტი შანსი გვექნებოდა გოლის გასატანად. არც იმას გამოვრიცხავ, ფინალიც მოგვეგო და ბრინჯაოთი კი არა, თასით დაბრუნებულებს დავხვედროდით."

არა მარტო ჟურნალისტები, მოზეიმე ხალხიდანაც გასძახოდნენ „ეჰ, შენოლ, ეჰ, აქამდე რატომ ვერ შეამჩნიე შუქურ-მანსიზის კავშირიო."

თურქთა მეკარემ რუშთუ რეჩბერმა აღნიშნა, ეს წარმატება მეგობრობამ და რწმენამ მოგვიტანაო. მისმა დამაჯერებელმა თამაშმა ბევრი კლუბი მოხიბლა, რომლებიც „ფენერბაჩეს" დაუკავშირდნენ. კლუბის მესვეურებმა თავიც დაიფასეს და მეკარეც დააფასეს — ეს კაცი ევროპაში პირველიაო.

„რუშთუ ევროპის საუკეთესო მეკარეა. ჩვენ ის გვჭირდება და მასაც სჭირდება „ფენერბაჩე". იგი შუა გზაზე არ მიგვატოვებს. ვერნერ ლორანტი (მწვრთნელი) დიდი გუნდის გაკეთებას აპირებს, ამიტომ რუშთუ არსად წავა. თან სერიოზული წინადადებით ჯერ არავის მოუმართავს" — თქვეს კლუბში.

მსურველები გამოუჩნდნენ ჰასან შაშსაც, მაგრამ სანამ სტამბოლიდან სადმე წავა, ჯერ მშობლიურ ქალაქ ადანაში მოუწევს ჩასვლა. ადანელებმა მას სიურპრიზი მოუმზადეს. გასაკვირი არაა, ალბათ, მიხვდით, რომ იმ ქალაქშიც შაშის სახელობისა რაღაც გაიხსნა. ამჯერად გამზირი. ფეხბურთელი თვითონ უნდა ჩავიდეს გახსნის ცერემონიალზე და ლენტსაც გაჭრის.

თურქთა მხიარულებამ უმსხვერპლოდ მაინც არ ჩაიარა. ვინმე ჰაქან იაშარმა თანამემამულეთა გამარჯვების აღსანიშნავად ყველაზე საშიშ ხერხს მიმართა — გახარებულმა, მეგობართან ერთად, გაზის ბალონთან და ცეცხლთან თამაში დაიწყო. ბალონი აფეთქდა, რასაც მასთან სახლში მყოფი მეგობრის სიცოცხლე შეეწირა.

ბოლოს თურქთა მომავალ გეგმებზე შენოლ გიუნეშის ნათქვამს გთავაზობთ: „მსოფლიოს ჩვენი ძალა ვაჩვენეთ. ახლა სამომავლო გეგმებზე მუშაობას ვიწყებ. აზიაში ყოფნისას გუნდში ჯანსაღი ატმოსფერო იყო და არავითარი კონფლიქტი არ ყოფილა. ამ შემადგენლობით ბევრს მივაღწევთ. ჯერ ევროპის, შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის ხელიხელჩაკიდებულები მოვემზადებით. თურქეთის ნაკრებს უკან დასახევი გზა აღარ აქვს."

**მაკა ხუციშვილი**






სტამბოლის აეროპორტს ხალხი მიაწყდა, ამ ბავშვებს კი თავისი საყვარელი აჭვთ

## ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები („სარბიელის" ვერსია)




## მსოფლიოს ჩემპიონატების ბომბარდირები

| | |
|---|---|
| გერდ მიულერი (გერმანია) | 14 |
| ჟიუსტ ფონტენი (საფრანგეთი) | 13 |
| პელე (ბრაზილია) | 12 |
| რონალდო (ბრაზილია) | 12 |
| შანდორ კოშიჩი (უნგრეთი) | 11 |
| იურგენ კლინსმანი (გერმანია) | 11 |
| ჰელმუტ რანი (გერმანია) | 10 |
| თეოფილო კუბილასი (პერუ) | 10 |
| გჟეგოჟ ლატო (პოლონეთი) | 10 |
| გარი ლინეკერი (ინგლისი) | 10 |
| გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა) | 10 |

## სადღეისო ვითარება

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 8 | რონალდო | (ბრაზილია) |
| 5 | რივალდო | (ბრაზილია) |
| | მიროსლავ კლოზე | (გერმანია) |
| 4 | იონ დალ ტომასონი | (დანია) |
| | კრისტიან ვიერი | (იტალია) |
| 3 | მიხაელ ბალაკი | (გერმანია) |
| | ილჰან მანსიზი | (თურქეთი) |
| | პაპე ბუბა დიოპი | (სენეგალი) |
| | რაული | (ესპანეთი) |
| | ფერნანდო მორიენტესი | (ესპანეთი) |
| | ჰენრიკ ლარსონი | (შვედეთი) |
| | მარკ ვილმოტსი | (ბელგია) |
| | რობი კინი | (ირლანდია) |
| | პედრუ პაულეტა | (პორტუგალია) |

### ავტოგოლი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ესტანისლაო სტრუევი | (პარაგვაი) |
| | ჟორჟე კოშტა | (პორტუგალია) |
| | ჯეფ აგოსი | (აშშ) |
| | კარლეს პუიოლი | (ესპანეთი) |

### წითელი ბარათი

1 — ბორის ჟივკოვიჩი (ხორვატია)
ალფაი ოზალანი (თურქეთი)
ჰაქან უნსალი (თურქეთი)
სალიფ დიაო (სენეგალი)
ტიერი ანრი (საფრანგეთი)
კარსტენ რამელო (გერმანია)
პატრიკ სუფო (კამერუნი)
კლაუდიო კანიჯა (არგენტინა)
კარლოს პარედესი (პარაგვაი)
ნასტია ჩეჲი (სლოვენია)
შაო ჟიაი (ჩინეთი)
ჟოაუ პინტუ (პორტუგალია)
ბეტუ სევერუ (პორტუგალია)
რობერტო აკუნია (პარაგვაი)
რაფაელ მარკეში (მექსიკა)
ფრანჩესკო ტოტი (იტალია)
რონალდინიო (ბრაზილია)

## ჩემპიონატის სტატისტიკა

*ჩატარდა — 64 მატჩი, 48 მოგება, 16 ფრე*
*სულ გავიდა 161 გოლი, საშუალოდ მატჩში — 2.52*
*პირველ ტაიმში გავიდა 69 გოლი, მეორეში — 89*
*დაფიქსირდა 3 ოქროს გოლი*
*პენალტების სერია — 2 (ესპანეთი — ირლანდია, ესპანეთი — ს. კორეა)*
*ყველაზე სწრაფი გოლი — თურქი ჰაქან შუქური (მე-11 წამზე, მესამე ადგილისთვის მატჩში ს. კორეასთან)*
*ყველაზე შედეგიანი გუნდი — ბრაზილია (18 გოლი)*
*ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი — რონალდო (ბრაზილია) — 8 გოლი*
*ყველაზე მეტჯერ კარისკენ დარტყმა — გერმანია (100)*
*ყველაზე მეტჯერ კარისკენ დარტყმა — რონალდო (ბრაზილია, 26)*
*ყველაზე მეტჯერ კარში დარტყმა — ბრაზილია (53)*
*ყველაზე მეტჯერ კარში დარტყმა — რონალდო (ბრაზილია, 21)*
*ყველაზე ცოტა კარისკენ დარტყმა — ჩინეთი (19)*
*ყველაზე ცოტა კარში დარტყმა — ტუნისი (6)*
*ყველაზე უხეში მატჩი — იაპონია — რუსეთი (62 ჯარიმა)*
*ყველაზე უხეში გუნდი — გერმანია და ს. კორეა (133-133 ჯარიმა)*
*ყველაზე უხეში ფეხბურთელი — კაფუ (ბრაზილია, 19)*
*ყველაზე მეტჯერ ეუხეშნენ — ილდირაი ბაშთურქი (თურქეთი, 31)*
*ყველაზე კორექტული მატჩი — ნიგერია — ინგლისი (19 ჯარიმა)*
*დაფიქსირდა 17 წითელი და 257 ყვითელი ბარათი*
*ყველაზე მეტი ყვითელი ბარათი — მესამე ტურის კამერუნი — გერმანია (16)*
*მეორე ტურის გერმანია — ირლანდიის და მესამე ტურის ნიგერია — ინგლისის მატჩებში მსაჯს არავინ გაუფრთხილებია*
*ყველაზე „ყვითელი" გუნდი — თურქეთი (18)*
*4 ავტოგოლი — (ესტანისლაო სტრუევი, პარაგვაი; ჟორჟე კოშტა, პორტუგალია; ჯეფ აგოსი, აშშ; კარლეს პუიოლი, ესპანეთი)*
*პროცენტულად ყველაზე მეტჯერ ბურთს ფლობდა მექსიკა (67, აშშ-თან)*
*ყველაზე მეტი კუთხური — ს. კორეა (53)*
*ყველაზე ნაკლები კუთხური — საუდეთი (4)*
*ყველაზე მეტჯერ, 26-ჯერ მოხვდა თამაშგარე მდგომარეობაში ბრაზილია*
*ყველაზე ნაკლებად, 3-ჯერ მოხვდა თამაშგარე მდგომარეობაში სლოვენია*
*ჩემპიონატის რეკორდული შედეგი — გერმანია 8:0 საუდეთი*
*უგოლოდ დასრულდა მეორე ტურის საფრანგეთი — ურუგვაი, მესამე ტურის ნიგერია — ინგლისი და მეოთხედფინალური ესპანეთი — ს. კორეა*

## მსოფლიოს ჩემპიონატებზე გატანილი გოლები

| წელი | თამაში | გოლი | საშუალოდ |
|---|---|---|---|
| 1930 | 18 | 70 | 3.89 |
| 1934 | 17 | 70 | 4.12 |
| 1938 | 18 | 84 | 4.67 |
| 1950 | 22 | 88 | 4.00 |
| 1954 | 26 | 140 | 5.38 |
| 1958 | 35 | 126 | 3.60 |
| 1962 | 32 | 89 | 2.78 |
| 1966 | 32 | 89 | 2.78 |
| 1970 | 32 | 95 | 2.97 |
| 1974 | 38 | 97 | 2.55 |
| 1978 | 38 | 102 | 2.68 |
| 1982 | 52 | 146 | 2.81 |
| 1986 | 52 | 132 | 2.54 |
| 1990 | 52 | 115 | 2.21 |
| 1994 | 52 | 141 | 2.71 |
| 1998 | 64 | 171 | 2.67 |
| 2002 | 64 | 161 | 2.52 |

## მსოფლიოს ჩემპიონატების მეგოლეები

| წელი | ბომბარდირი | გოლი |
|---|---|---|
| 1930 | გილერმო სტაბილე (არგენტინა) | 8 |
| 1934 | ედმუნდ კონენი (გერმანია) | 4 |
| | ანჯელო სკიავიო (იტალია) | 4 |
| | ოლდრიხ ნეჟედლი (ჩეხოსლოვაკია) | 4 |
| 1938 | ლეონიდასი (ბრაზილია) | 8 |
| 1950 | ადემირი (ბრაზილია) | 9 |
| 1954 | შანდორ კოშიჩი (უნგრეთი) | 11 |
| 1958 | ჟიუსტ ფონტენი (საფრანგეთი) | 13 |
| 1962 | გარინჩა (ბრაზილია) | 4 |
| | ვავა (ბრაზილია) | 4 |
| | დრაჟენ ჟერკოვიჩი (იუგოსლავია) | 4 |
| | ლეონელ სანჩესი (ჩილე) | 4 |
| | ვალენტინ ივანოვი (სსრკ) | 4 |
| | ფლორიან ალბერტი (უნგრეთი) | 4 |
| 1966 | ეუსებიო (პორტუგალია) | 9 |
| 1970 | გერდ მიულერი (გფრ) | 10 |
| 1974 | გჟეგოჟ ლატო (პოლონეთი) | 7 |
| 1978 | მარიო კემპესი (არგენტინა) | 6 |
| 1982 | პაოლო როსი (იტალია) | 6 |
| 1986 | გარი ლინეკერი (ინგლისი) | 6 |
| 1990 | სალვატორე სკილაჩი (იტალია) | 6 |
| 1994 | ხრისტო სტოიჩკოვი (ბულგარეთი) | 6 |
| | ოლეგ სალენკო (რუსეთი) | 6 |
| 1998 | დავორ შუკერი (ხორვატია) | 6 |
| 2002 | რონალდო (ბრაზილია) | 8 |

## მსოფლიოს ჩემპიონატის ყველა ფინალი

| წელი | ქვეყანა | ფინალი |
|---|---|---|
| 1930 | ურუგვაი | ურუგვაი 4:2 არგენტინა |
| 1934 | იტალია | იტალია 2:1 ჩეხოსლოვაკია |
| 1938 | საფრანგეთი | იტალია 4:2 უნგრეთი |
| 1950 | ბრაზილია | ურუგვაი 2:1 ბრაზილია |
| 1954 | შვეიცარია | გფრ 3:2 უნგრეთი |
| 1958 | შვედეთი | ბრაზილია 5:2 შვედეთი |
| 1962 | ჩილე | ბრაზილია 3:1 ჩეხოსლოვაკია |
| 1966 | ინგლისი | ინგლისი 4:2დ.დ. (2:2) გფრ |
| 1970 | მექსიკა | ბრაზილია 4:1 იტალია |
| 1974 | გფრ | გფრ 2:1 ჰოლანდია |
| 1978 | არგენტინა | არგენტინა 3:1დ.დ. (1:1) ჰოლანდია |
| 1982 | ესპანეთი | იტალია 3:1 გფრ |
| 1986 | მექსიკა | არგენტინა 3:2 გფრ |
| 1990 | იტალია | გფრ 1:0 არგენტინა |
| 1994 | აშშ | ბრაზილია 0:0 (პენ.3:2) იტალია |
| 1998 | საფრანგეთი | საფრანგეთი 3:0 ბრაზილია |
| 2002 | კორეა-იაპონია | ბრაზილია 2:0 გერმანია |

## მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ნომინანტები სააგენტო „როიტერის" ვერსიით

საუკეთესო გუნდი — ბრაზილია
საუკეთესო ფეხბურთელი — რონალდო (ბრაზილია)
საუკეთესო მწვრთნელი — გუს ჰიდინკი (ს. კორეა)
საუკეთესო მეკარე — ოლივერ კანი (გერმანია)
საუკეთესო მცველი — რიო ფერდინანდი (ინგლისი)
საუკეთესო ნახევარმცველი — რონალდინიო (ბრაზილია)
საუკეთესო თავდამსხმელი — რონალდო (ბრაზილია)
საუკეთესო გოლი — ჯი-სუნგ პარკი (ს. კორეა, პორტუგალიასთან)
საუკეთესო ქომაგები — ს. კორეა
საუკეთესო მატჩი — სენეგალი 3:3 ურუგვაი
უდიდესი მოულოდნელობა — საფრანგეთი 0:1 სენეგალი
ყველაზე იღბლიანი გუნდი — გერმანია
ყველაზე უიღბლო გუნდი — ესპანეთი
ყველაზე „დაჩაგრული" გუნდი — იტალია
ყველაზე უხეში ფეხბურთელი — ჟოაუ პინტუ (პორტუგალია) და ჯი-სუნგ პარკი (ს. კორეა)
უცუდესი გადაწყვეტილება — მსაჯი ჯამალ ღანდური (ეგვიპტე), ესპანელ ფერნანდო მორიენტესს მეოთხედფინალში ს. კორეასთან არ ჩაუთვალა ოქროს გოლი
ყველაზე უგემოვნო ვარცხნილობა — თურქი დავალა უმითი

# ჰაქან სწრაფი



ჰაქან შუქურმა თერთმეტ წამში რეკორდი მიითვალა

**29 ივნისს,** კორეულ დეგუში, მესამე ადგილისთვის მატჩში, თურქმა ჰაქან შუქურმა მსოფლიოს ჩემპიონატების 72-წლიან ისტორიაში უსწრაფესი გოლი გაიტანა. ეს ამბავი კორეასთან მატჩის მე-11 წამზე მოხდა, ჰაქანმა ილჰან მანსიზისგან მიიღო პასი და ტურნირზე თავისი პირველი, სამაგიეროდ, ისტორიული ბურთი შეაგდო.

მთელი თვეა, თურქული მედია მწვრთნელ შენოლ გიუნეშს შუქურის გამო აკრიტიკებდა. ნაკრების კაპიტანი მართლაც საკუთარ თავს არ ჰგავდა, ხშირად მარტივ შეცდომებს უშვებდა და გასატანი ვერ გაჰქონდა, სენეგალთან მეოთხედფინალში ხომ სულაც ისეთი ვერ შეაგდო, რომ... არადა, იმავე ილჰანს, ვინაც აშკარად კარგ ფორმაში იყო, თავიდან ერთთავად სათადარიგოთა სკამზე უწევდა ჯდომა.

გიუნეში ერთსა და იმავეს იმეორებდა, ყველაფრის მიუხედავად, შუქური საუკეთესო თურქ ფეხბურთელად მიმაჩნია და მისი მოედანზე ყოფნაც კი თანაგუნდელებისთვის უკვე სტიმულიაო.

მოდით, გიუნეშის გულწრფელობაში ეჭვს ნუ შევიტანთ, მხოლოდ დავამატოთ, რომ შუქური ბოლო წლებში თურქული ფეხბურთის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა, იტალიური „პარმას" 30 წლის შემტევს 80 სანაკრებო მატჩში 36 გოლი გაუტანია, იმ „გალათასარაის" ლიდერიც ყოფილა, შარშანწინ თურქთათვის ნანატრი უეფას თასი რომ მოიგო და ახლაც ხომ ისტორიაში შევიდა — ძნელი წარმოსადგენია მისი რეკორდი ვინმემ მალევე დაამხოს.

**სოლომონ ბულისაშვილი**

# რუსებს თავისი ბოსკამპი მოუნდათ

**რუსები** იმავე პრობლემას ჩაუფიქრებია, რომელიც პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეროვნულ გუნდებს ზოგადად აწუხებთ. ჩვენს ჩრდილოეთ სამეზობლოში უკვე რამდენიმე კვირაა, მსჯელობენ, რუსეთის ნაკრების მწვრთნელად უცხოელის დანიშვნის თაობაზე. გაზეთმა „სპორტ ექსპრესმა" გამოკითხვაც ჩაატარა, რომელშიც 14 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა და აღმოჩნდა, რომ მათ 80 პროცენტს უცხოელი სპეციალისტის მიწვევა სურს. რუსული ნავთობის მამებმა ვასილი შახნოვსკიმ და ლეონიდ ფედუნმა ქვეყნის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ ვიაჩესლავ კოლოსკოვს ღია წერილიც კი გაუგზავნეს, თქვენ უცხოელი მოიწვიეთ და ფინანსურ საკითხებს ჩვენ მოვაგვარებთო — ჰპირდებიან.

ასევე ფიქრობს ცნობილი მწვრთნელი ვალენტინ ივანოვიც: „გამორჩეულთაგან მხოლოდ ვალერი გაზაევი და იური სიომინი დარჩნენ ეროვნული გუნდი რომ არ გაუწვრთნიათ, თუმცა მათ საკუთარ კლუბებში უამრავი საქმე აქვთ და ნაკრებისთვის ვერ მოიცლიან. უცხოელი კი ჩვენს ფეხბურთელებს სხვა თვალით შეხედავს, რაღაც ახალს შემოიტანს. კარგი მწვრთნელები არ გვაკლია, მაგრამ ვაღიაროთ, ისინი უცხოელ კოლეგებს ჩამორჩნენ. ჩვენსავით ევროპაში ალარავინ თამაშობს. ჩემი ასარჩევი რომ იყოს, ფაბიო კაპელოს დავასახელებდი, დიდი ხანია, მისი მუშაობით ვიხიბლები" — ასეთია ივანოვის აზრი.

ცხადია, შესაძლო კანდიდატებს სხვებიც ასახელებენ. ყველაზე ხშირად კი დინო ძოფის, ალბერტო ძაკერონისა და რიხარდ მიოლერ-ნილსენის გვარები გაისმის. ლეგენდარულ ბორა მილუტინოვიჩს კი, ვინც კორეა-იაპონიის მუნდიალზე ჩინელებს წვრთნიდა, თავად გამოუთქვამს რუსებთან მუშაობის სურვილი. თუმცა მისთვის ჯერ არავის არაფერი შეუთავაზებია და თავადაც ახლა მექსიკაში ისვენებს ოჯახთან ერთად.

ასე რომ, ოლეგ რომანცევის შემცვლელის სახელი ჯერაც უცნობია, პრეზიდენტი კოლოსკოვი კი მიიჩნევს, საქმეს რუსებიც კარგად გაართმევენ თავსო: „დარწმუნებული არ ვარ, რომ უცხოელი გვჭირდება — ამბობს კოლოსკოვი — რუსეთში საკმაოდ გვყავს კვალიფიციური სპეციალისტები, თუ დავეხმარეთ, სერიოზული შედეგის მიღწევა მათაც ძალუძთ."

ვინ ვინ და, ამ საკითხის მნიშვნელობა ქართველებს სხვაზე ნაკლებ არ გვესმის.

უკვე 7-8 წელიწადია, უცხოელის ჩამოყვანა-არჩამოყვანაზე ვკამათობთ და ბოსკამპის მოკლე პერიოდს თუ არ ჩავთვლით, ქართული ფეხბურთის გაევროპულებას დღემდე ვერ დავაყენეთ საშველი. ახლა რუსებიც ჩვენს გზას დაადგნენ.

**სოლომონ ბულისაშვილი**



# წინა დღის გმირი

*ფინალის წინა დღეს ფიფამ ოლივერ კანი მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ დაასახელა და „იაშინის პრიზით" დააჯილდოვა. მეორე დღეს კანს ბურთი ხელიდან გაუვარდა, რასაც გერმანელთა კარში რონალდოს პირველი გოლი მოჰყვა. საინტერესო ამბავია: 1962 წლის მუნდიალის ფინალში ბრაზილია და ჩეხოსლოვაკია გავიდნენ. მაშინ ფინალის წინა დღეს ფიფამ ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ ჩეხი უილიამ შროიფი დაასახელა, მატჩისას კი ბრაზილიელთა პირველი გოლი სწორედ მეკარის უხეში შეცდომით გავიდა.*


# იყიდება

ვაკეში, კეკელიძეზე ახალგარემონტებული, 4-ოთახიანი, დუპლექსის ტიპის ბინა გარაჟით.

ტ: 29-13-75; 899 11-64-46




# რეკორდები



ბრაზილიელთა კაპიტანი კაფუ რვა წელია, სულ ფინალშია

**ყველაზე მეტი ფინალური მატჩი**
კაფუ (ბრაზილია) — 3 (1994, 1998, 2002)

**ყველაზე მეტი მატჩი მსოფლიოს ჩემპიონატზე**
ლოთარ მათეუსი (გერმანია) — 25 (1982-98)

**ყველაზე მეტი მსოფლიოს ჩემპიონატი**
ანტონიო კარბახალი (მექსიკა) — 5 (1950-66)
ლოთარ მათეუსი (გერმანია) — 5 (1982-98)

**უყრმესი ფეხბურთელი**
ნორმან უაიტსაიდი (ჩრდ. ირლანდია) — 17 წლის და 42 დღის (იუგოსლავიასთან, 1982)

**უხუცესი ფეხბურთელი**
როჟე მილა (კამერუნი) — 42 წლის და 39 დღის (რუსეთთან, 1994)

**უყრმესი მეგოლე**
პელე (ბრაზილია) — 17 წლის და 239 დღის (უელსთან, 1958)

**უხუცესი მეგოლე**
როჟე მილა (კამერუნი) — 42 წლის და 39 დღის (რუსეთთან, 1994)

**უყრმესი მსაჯი**
ფრანსისკო მატუჩი (ურუგვაი) — 27 წლის და 62 დღის (1930)

**უხუცესი მსაჯი**
ჯორჯ რედერი (ინგლისი) — 53 წლის და 236 დღის (1950)

**უსწრაფესი გოლი**
ჰაქან შუქური (თურქეთი) — მე-11 წამი (ს. კორეასთან, 2002)

**ერთ მატჩში გატანილი გოლები**
ოლეგ სალენკო (რუსეთი) — 5 (კამერუნთან, 1994)

**საუკეთესო ბომბარდირი**
ჟუსტ ფონტენი (საფრანგეთი) — 13 (1958)

**ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი**
გერდ მიულერი (გერმანია) — 14 (1970, 74)

**უსწრაფესი შეცვლა**
ალესანდრო ნესტა (იტალია) — მე-4 წუთი (ავსტრიასთან, 1998)

**უსწრაფესი გაფრთხილება**
სერგეი გორლუკოვიჩი (რუსეთი) — პირველი წუთი (შვედეთთან, 1994)

**უსწრაფესი გაძევება**
ხოსე ბატისტა (ურუგვაი) — 56-ე წამი (შოტლანდიასთან, 1976)

**უდიდესი გამარჯვება**
უნგრეთი 10:1 სალვადორი (1982)

**ყველაზე უხვგოლიანი მატჩი**
ავსტრია 7:5 შვეიცარია (1952)

**ყველაზე უხვმატჩიანი მწვრთნელი**
ჰელმუტ შონი (გფრ) — 25

**ყველაზე მეტი ჩემპიონატი**
ბრაზილია — 17

**ყველაზე მეტი გოლი**
ბრაზილია — 191

**ყველაზე მეტი გოლი ერთ ჩემპიონატში**
უნგრეთი — 27 (1954)

**ყველაზე მწირი დასწრება**
რუმინეთი — პერუ — 300 მაყურებელი (1930)

**ყველაზე მცირე მაყურებლიანი ფინალი**
იტალია — უნგრეთი — 45124 მაყურებელი (1938)

## მსოფლიოს ჩემპიონატის დღიური 29, 30 ივნისი

# ო, ბრაზილ, ბრაზილიერო!

**ბრაზილია** მეხუთედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. რონალდოს დიდმა ნიჭმა გადაწყვიტა მსოფლიოს თასის ბედი. რონალდო, რომელსაც თითქმის სამი წელიწადი არ უთამაშია, უსაშინლეს ტრავმათა გამო კოჭლობდა, მაგრამ მაინც თამაშობდა და მისი გაჩერება ვერც ვერ მოახერხეს.

ის თითქოს სწორედ იმიტომ დაბრუნდა, რომ ეს მსოფლიოს თასი მოეგო. მის არყოფნაში, საუკეთესო ბრაზილიელ ფეხბურთელად რივალდო ითვლებოდა. ახლა სადავო საკითხი მოხსნილია, ამ ერთ თვეში რონალდომ გვითხრა, რომ მისი გაქანებისა და ნიჭის ფეხბურთელი დღეს მსოფლიოში არ არსებობს.

ქვეყნის მეორე კიდეზე, ბრაზილიაში, სადაც ყოველგვარი უბრალო მიზეზის გამო წაუცეკვებენ ხოლმე, ახლა ბედნიერებისგან ცეკვავენ და მღერიან. ლუიშ ფელიპე სკოლარი, ნალანძღი კაცი ახლა გმირია: გამარჯვებულ მწვრთნელებს არ ასამართლებენ.

მსოფლიოს ჩემპიონატების ორი დიდი გუნდი, გერმანია და ბრაზილია პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ამ ჩემპიონატების ისტორიაში და თან, პირდაპირ ფინალში. ეს ახალი საუკუნის უტყუარ ნიშნადაა მიჩნეული. თუმცა, ოდესმე რომ შეხვდებოდნენ ისიც ცხადი იყო.

ამგვარი შეხვედრა პელესაც კი აქვს ნახსენები თავის წიგნში, სადაც 1970 წლის ჩემპიონატის ამბებს მოგვითხრობს. მეფეს აერია, ამგვარი შეხვედრა ახლაღა შედგა, თუმცა მეფე იმის მეფეა, რომ დროს გაუსწროს.

პელეს მიერ აღწერილ არარსებულ შეხვედრაში მოუგიათ ბრაზილიელებს, ახლაც ბრაზილიელებმა მოიგეს. ოღონდ მაშინ ფინალი არ იყო.

ჩვენ კი დავუბრუნდეთ ჩემპიონატს, რომელიც ძნელი წარმოსადგენია, ისე გაელანძღათ რომელიმე ქვეყანაში, როგორც ჩვენთან. თვით იტალიაში არ გაულანძღავთ ასე მსოფლიოს თასი. იტალიელებს კი, ასე თუ ისე, შეეძლოთ გაელანძღათ. თუმცა, ჩვენ რატომ უნდა გაგველანძღა, არ ვიცი. საქართველო იქ არ ყოფილა და კორეას არ შეხვედრია და სალანძღავი რა იყო?

ფინალი საუცხოო მატჩი იყო. ორივე გუნდს ხშირად გაჰქონდათ ამ ჩემპიონატზე ბოლო ოც წუთში და ახლაც ერთ-ერთმა გაიტანა, ისე კი ფინალი ნახევარფინალებს ჰგავდა და საერთოდ, უფრო მოსაწონი და საინტერესო ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი იყო. სიჭრელე და მრავალფეროვნება ძალიან უხდება მსოფლიოს ჩემპიონატს. ცხადია, თუ ვიგულისხმებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი არ ტარდება მსაჯობისა და ტოტალიზატორებისთვის, რომელთაგან პირველი აშკარად გამოსწორდა ჩემპიონატის ბოლოსკენ, მეორენი კი, ალბათ, მაინც დამარცხდნენ ნახევარფინალებსა და ფინალში.

ახლა რომ თვალები დავხუჭოთ, რა გაგვახსენდება განვლილი მსოფლიოს ჩემპიონატიდან?

რონალდოზე შევთანხმდით. პირველი რონალდო გაგვახსენდება. კარგით, მერე რონალდინიო რომ ურტყამს სიმენის კარში. მერე პირდაღებული სიმენი რომ დგას ასი ინგლისელი ჟურნალისტის წინაშე და საშინელ შეკითხვებს ელის, ჟურნალისტები კი დუმან და შეკითხვის გარეშე ისტუმრებენ.

ალბათ, ისიც დაგვიდგება თვალწინ, თუ როგორ დაჰკრავს ანდრეას სვენსონი ბურთს სენეგალელთა ძელს ზღაპრული გარღვევის შემდეგ, და ამას ანრი კამარას ოქროს გოლი მოჰყვება სწორედ ანდრეას სვენსონის გუნდის, შვედების კარში. ისიც ხომ უნდა გაგვახსენდეს, რამდენ წყალს სვამდა მარსელო ბიელსა და რამდენი ოფლი სდიოდა ხოსე ანტონიო კამაჩოს? პარაგვაელი ნელსონ კუევასის გოლი სლოვენიელთა კარში აუცილებლად გაგვახსენდება და კორეელთა მიერ იტალიელთა ძლევის დრამატული ისტორია ხომ საერთოდ. ამერიკა — პორტუგალია და უხასიათოდ მყოფი ფიგუ, მასპინძლებთან ცხრა კაცით მებრძოლი ისევ პორტუგალია და კონსეისაუს მიერ ძელს გარტყმული ბურთი ბოლო წამებზე. ანი, კორეელთა ნამდვილი გმირი და რა თქმა უნდა, ელჰაჯი დიუფი, ახალი ჯადოქარი ფრანგული აფრიკიდან. ბარძაყგადახვეული ზინედინ ზიდანი და კოხტა დანიელები, რომელთაც ასეთი წკაპ-წკაპ გოლების გატანა ეხერხებათ. უვარგისი ურუგვაი, რომლის ფეხბურთელებმაც ორი ულამაზესი გოლი გაიტანეს, ანდა ირლანდიელთა გმირული თავგადასავალი და მშვენიერი ესპანელები.

გასახსენებელი მართლაც ძალიან ბევრია და ამიტომ, ძალიან ძნელი სათქმელია, რომ ჩემპიონატი იყო ჩვეულებრივი. ჩვეულებრივი ჩემპიონატი პლეიოფებიდან დაიწყო, იმიტომ, რომ სადაც არსებობს დამატებითი დრო და პენალტების სერია, იქ ყოველთვის მიდიხარ ჩვეულებრივისკენ.

მანამდე კი სწორედაც რომ ყველაფერი არაჩვეულებრივი იყო. ჩემპიონატის პირველი დღიდანვე.

ეს იყო დაქანცულთა და დასვენებულთა, დაბნეულთა და უტეხთა, ჭკვიანთა და სულელთა, იღბლიანთა და უიღბლოთა მსოფლიოს ჩემპიონატი.

აბა, რომელი ჩემპიონატი არ არის ასეთიო, იკითხავთ.

ყველა ასეთია, მაგრამ ეს განსაკუთრებით ასეთი იყო.

აქ ყველაფერი საინტერესო იყო, ტაქტიკით დაწყებული, თმის ვარცხნილობით დასრულებული. აქ ყველაფერი მნიშვნელოვანი იყო. ტყუილად კი არ თქვა სკოლარიმ, როცა რონალდომ ასეთი პოლუბოქსი დაიყენა, მივხვდი, რომ მოვიგებდითო. მსოფლიოს ჩემპიონატი ისეთი რამაა, რომ ყველაფერს მნიშვნელობა ენიჭება. იმ ახლებურ ბურთსაც კი, რომელსაც ძალიან უყვარს მაღლა-მაღლა ფრენა. რონალდოს კი არ უყვარს ბურთის მაღლა გაშვება, ასიდან ოთხმოცდაცხრამეტჯერ ის დაბალს ურტყამს.

საერთოდ კი ჩემპიონატი დაიწყო როგორც დეტექტივი, გაგრძელდა როგორც ტრაგიკომედია და დასრულდა სასიყვარულო რომანივით, რომელშიც მთავარმა გმირმა მოახერხა და მიჯნური იპოვნა. მთავარი გმირი, მოგეხსენებათ, რონალდოა, მაგრამ თვით ყველაზე დიდი რონალდოც კი, თვით უფრო დიადნიც კი ვერაფერს გახდებოდნენ მარტონი რომ იყვნენ და ცხოვრებას დენილსონის თვალებით უყურებდნენ. ბრაზილიის ნაკრები იყო ერთი ახირებული, გიჟმაჟი, ჭკვიანი, უფრო კი ხასიათიანი და გამოცდილი, ყველასგან ათვალწუნებული, ოდნავ ძველმოდური კაცის ხელქვეითი, რომელმაც დაამტკიცა, რომ ადამიანი, რომელიც არ ეპოტინება იმას, რაც არ არის, იმას, რაც არასოდეს გაუკეთებია, იმას, რაც სისხლში არ აქვს, გაიმარჯვებს.

სკოლარი თავს იცავდა, მისი გუნდი თავს იცავდა, მაგრამ მას ჰყავდა რონალდო. ჯოვანი ტრაპატონიც თავს იცავდა, მაგრამ არ ჰყავდა რობერტო ბაჯო, სკოლარი არ არის საფეხბურთო ფილოსოფოსი, არც სვენ გორან ერიკსონივით პროფესორის იერი აქვს, მაგრამ მისი გუნდი მიუხედავად ყველაფრისა, მაინც გამოხატავდა ბრაზილიური ფეხბურთის საუკეთესო თვისებებს. ეროკსონის გუნდი კი მარსელო ბიელსასი არ იყოს, გამოხატავდა ათას რამეს, გარდა ინგლისური და არგენტინული ფეხბურთის საუკეთესო თვისებებისა. არგენტინა და ინგლისი, რომლებმაც რატომღაც წარმოიდგინეს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი იმიტომ ტარდება, რომ ეს ორი გუნდი უნდა შეხვდეს ერთმანეთს, ბრაზილიელებს სწორედ იმაში ჩამოუვარდებოდა, რომ თავის მთავარ იარაღზე თქვეს უარი.

წარმოიდგინეთ, სკოლარის რომ რონალდო არ წაეყვანა, სამი წელიწადია არ უთამაშიაო. ბრაზილია ვგებ, მაინც შორს წასულიყო, რახან სხვა ათას თვისებასთან ერთად იგი ამ ტურნირის კლასიკოსია, მაგრამ როგორ ითამაშებდა? ნახევარფინალსა და ფინალში ხომ სწორედ რონალდომ შექმნა გოლები?

რონალდოს შემთხვევაში სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ჩვენ ეგრეც არ ვიცით, რამდენად შეძლებს იგი რეგულარული ჩემპიონატის თამაშს. რონალდო აქაც კოჭლობდა, ხენეშოდა და როგორც კი სკოლარი გულს საგულეს ჩაიყენებდა, რონალდოს ცვლიდა ხოლმე.

ბრაზილია კი ჩემპიონია. გასაგებია რატომაც. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი.



წარმოიდგინეთ, სკოლარის რონალდო რომ არ წაეყვანა ...



პელემ გერმანია 34 წლით ადრე იწინასწარმეტყველა



## საგანგებო ლოზუნგი
## კაცი, რომელიც იცინის!

ეროვნული ბიბლიოთეკა



მერაბ ჟორდანიამ (მარჯვნივ) და ვალერი ჩოლარიამ ევროპა მოიარეს

# ფედერაციას თბილისში უეფა ჩამოჰყავს

## ვალერი ჩოლარია გირჩევთ: ჩაიხედეთ წესდებაში

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია, რომელიც პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასთან ერთად გასულ კვირაში შვეიცარიაში უეფას სტუმრობდა, თბილისში დაბრუნდა, გუშინ თავის კაბინეტში შეგვხვდა და უეფადან ჩამოტანილი ამბები მოგვიყვა. პრესკონფერენცია დიდხანს არ გაგრძელებულა, სულ 15-20 წუთი. ვალერი ჩოლარია კმაყოფილი იყო უეფას მაღალჩინოსანთა დაპირებებით.

— 27 ივნისს მე და მერაბ ჟორდანია უეფას აღმსავლეთ ევროპის დახმარების ბიუროს თავმჯდომარეს, ჩვენს კარგ ნაცნობ ერიხ ეპლეს შევხვდით და მეტად სასიამოვნო ამბავიც გავიგეთ: როგორც კი ფედერაციის ოფისის მშენებლობას დავამთავრებთ, ოფისის ტექნიკური აღჭურვილობისთვის უეფასგან გრანტის სახით 250 ათასს შვეიცარიულ ფრანკს მივიღებთ. გარდა ამისა, შვეიცარიაში სტუმრობისას დაგვპირდნენ, რომ ფედერაციის ყრილობას, რომელიც 24 აგვისტოს ჩატარდება, უეფას წარმომადგენელი დაესწრება, რაც საპრეზიდენტო არჩევნების ობიექტურად ჩატარებას შეუწყობს ხელს. თუმც უეფას მაღალჩინოსნების დელეგაცია იქამდეც გვესტუმრება. 10 ივლისს უეფას ალმასკომის სხდომა გაიმართება და სწორედ ამის შემდეგ გვაცნობებენ ჩამოსვლის თარიღს. ჩვენც იმ დღეს მოვაწყობთ ოფისის პრეზენტაციას. ისე კი მშენებლობის დამთავრებას ბევრი არაფერი აკლია, ორი კვირის სამუშაოებია დარჩენილი.

ეპლესთან შეხვედრის მეორე დღეს უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა მე, მერაბ ჟორდანია და ეპლე სადილზე დაგვპატიჟა. დაახლოებით ორ საათს ვისაუბრეთ. აიგნერი კმაყოფილია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მუშაობით, მას ჩვენზე ინფორმაციას რეგულარულად აწვდიან. წარმატებები გვისურვა და სამომავლოდ კვლავაც თანადგომას დაგვპირდა. ამჯერად კი შვეიცარიის UBS ბანკიდან, სადაც უეფასვე მითითებით გვაქვს ანგარიში, კრედიტების გამოტანაში დახმარება აღგვიქვა. დაგეგმილი გვქონდა შეხვედრა საქართველოს ნაკრების ტექნიკურ სპონსორ „ლოტოსთანაც“, მაგრამ იტალიელებმა გვაცნობეს, თქვენი ყველა შენიშვნა-თხოვნა შესრულებულია და ფორმების ახალ კომპლექტებს თბილისში უახლოეს ათ დღეში გაახლებთო. მოვინახულეთ ასევე „ქირშჯგუფის“ წარმომადგენლებიც, ალბათ, მოგეხსენებათ, სწორედ ეს ფირმა ფლობს ეროვნული გუნდის მატჩების ტელერეპორტაჟების ჩვენებისა და სარეკლამო უფლებებს. მათ უკეთესი პირობები შემოგვთავაზეს და თანამშრომლობას მომავალშიც გავაგრძელებთ.

–გადაწყდა, რომ საქართველოს ნაკრები შვეიცარიასთან შესარჩევი მატჩისთვის, რომელიც 7 სექტემბერს ან ბაზელში ან რომელიმე სხვა ქალაქში გაიმართება, მზადებას 31 აგვისტოდან გერმანულ რიუტში დაიწყებს, სადაც 5 სექტემბრამდე ეროვნულთან ერთად ახალგაზრდული ნაკრებიც ივარჯიშებს.

– ყრილობის დღის წესრიგი უკვე შევიმუშავეთ, მცირედი შესწორებებიღა სჭირდება. მანდატები კი ფედერაციისა და ფიფას წესდებების სრული გათვალისწინებით გავანაწილეთ. საპრეტენზიო არავის არაფერი უნდა ჰქონდეს. ვისაც რამე აეჭვებს, წესდებაში ჩაიხედოს.

**ქობა ინასარიძე**

# ა. სპირინი რუსეთიდან

**ბოლო სამი სეზონია,** ქართველი მსაჯები უეფას ეგიდით გამართულ პროგრეს-კურსებზე ილრმავებენ ცოდნას. პირველ ორ პროგრეს-კურსს ბელგიელი ალექს პონე ხელმძღვანელობდა, შარშან კი უეფამ ჰოლანდიელი კის ბაკერი მოუვლინა ქართველ თემიდელებს.

გამონაკლისი არც 2002 წელი ყოფილა. ამჯერად ანატოლი მილჩენკოს სამწყსოს დამოძღვრა უეფას სამსაჯო კომიტეტის რუს ინსტრუქტორს, წარსულში ცნობილ მსაჯ ალექსეი სპირინს დაევალა. სპირინი გუშინ ესტუმრა საქართველოს, სადაც ორიოდ დღეს დაჰყოფს. ქართველმა მსაჯებმა სწორედ 48 საათში უნდა აითვისონ უეფას რიგით მეოთხე პროგრეს-კურსისგან შემოთავაზებული სიახლეები.

ალექსეი სპირინი ლექციებს „ლოკომოტივის“ საპრესკონფერენციო დარბაზში წაიკითხავს.

**კახა ზალამბერიძე**

# ავჭალაში სინათლე ბჟუტავს

**თბილისური „მერანის“** ფინანსურ გასაჭირზე აქამდეც არაერთხელ დაგვიწერია და საქმეს ისეთი პირი უჩანს, კიდევ არაერთხელ მივუბრუნდებით. სადღეისოდ თითქმის ყველა უმაღლესლიგელი შეუდგა საახალსეზონო მზადებას. ვინც წვრთნის დაწყებას აგვიანებს, ის მაინც იცის, როდის და სად წავა სავარჯიშოდ. ერთადერთი გამონაკლისი „მერანია“, რომელსაც ვალები ყოველდღე ემატება, ფეხბურთელები გაურბის და დაშლამდე ბევრიც არაფერი აკლია.

ზედიზედ ორჯერ „მერანის“ საპრიზო ექვსეულში „შემთრევი“ მწვრთნელი ოთარ გაბელია გუნდის მომზადებას ვერ იწყებს. ფეხბურთელების ხელფას-პრემიებია დასარიგებელი, სხვა დავალიანებები გასასტუმრებელი. ესეც რომ არ იყოს, რომელი მოთამაშე დაყაბულდება იმ გუნდში ვარჯიშს, რომელიც უფსკრულის პირას დგას და გადარჩენამდე ნაბიჯიღა აკლია.

ავჭალელთა ვიცე-პრეზიდენტი ანზორ მამალაძე უკვე რა ხანია, ამაოდ ელის კლუბის მოსკოველი მეპატრონეებისგან საიმედო შეტყობინებას. რუსები არც ვალის დაფარვას აპირებენ და არც კლუბის სხვისთვის გადაბარება სურთ.

ერთი ხანია, მოსკოვში „მერანის“ მენეჯერად წოდებული ვოვა ჩერქეზოვი გაემგზავრა. თითქოს მას უნდა ჩამოეტანა კლუბის დოკუმენტაცია, მაგრამ საბუთებს ვინ ჩივის, თავადაც დაიკარგა.

რაც შეეხებათ ავჭალელთა მოსკოველ მეპატრონეებს, ვალერი ფილენკოვს და იური სევასტიანოვს, ერთმანეთში უთანხმოება მოსვლიათ და მათი გზებიც გაყრილა. ფილენკოვი, რომელიც ერთობლივ ბიზნესში სათავო ოფისს ხელმძღვანელობდა, მოსკოვში დარჩენილა. „მერანის“ ამბავშიც ხელები დაუბანია, ისიც კმარა, ტყუილუბრალოდ ფული რომ ვფანტე, არც თქვენი „მერანი“ მჭირდება და არც ზედმეტი თავის ტკივილიო.

მოსკოვიდან „გაძევებული“ სევასტიანოვი მშობლიურ ლუგანსკში დაბრუნებულა. იქაც საფეხბურთო კლუბი „გოლეადორი-ზარია“ ჩამოუყალიბებია, რომელიც უკრაინის მესამე ლიგაში აპირებს თამაშს და ყოფილი „გოლეადორის“ 9 ფეხბურთელიც იქ ყოლია. ამიტომაც ვერ შელევია სევასტიანოვი „მერანის“ ოფიციალური მეპატრონის დამამტკიცებელ საბუთებს. ლუგანსკში ვარჯიშობს თურმე მიხეილ ფოცხვერია, უკრაინა მოიარეს და თბილისს დაბრუნდნენ აკაკი დევაძე და გოჩა გუჯაბიძე. ამბობენ, ჩერქეზოვიც იქ არისო. უკრაინულ მესამე ლიგაში თამაში ვითომ წაადგებათ ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდებს?

ანზორ მამალაძე არ აპირებს წასული ფეხბურთელებისთვის გათავისუფლების ფურცლის გაგზავნას. სანაცვლოდ ავჭალელთა ვიცე-პრეზიდენტი ვალების დაფარვას და კლუბის თავკაცის პოსტიდან სევასტიანოვის წასვლას მოითხოვს, მაგრამ აქამდე ყველა სატელეფონო საუბარი მამალაძესა და სევასტიანოვს შორის წყლის ნაყვად ქცეულა. სევასტიანოვი უფულობას იმიზეზებს და ახალგაზრდა მოთამაშეების წაყვანას ნისიად ითხოვს, რაზეც ქართული მხარე უარზეა.



იოსებ დევიძემ ავჭალის რიონისპირა არჩია

დრო კი მიდის. ჩემპიონატის დაწყებამდე თვეზე ცოტა მეტი დარჩა. ავჭალაში სამარისებური სიჩუმეა, ამდენი ლოდინით დაღლილ ფეხბურთელებს ნერვების მოთოკვა უჭირთ და გაქცევაზე არიან. გუნდის კაპიტანმა იოსებ დევიძემ ვითარების გამოსწორებას და კუთვნილ ფულს აღარ დაუცადა და ჩემპიონ „ტორპედოს“ შეეკედლა. რიგში სხვებიც დგანან და თუ ასე გაგრძელდა, სულ მალე „მერანისგან“ არაფერი დარჩება.

ანზორ მამალაძის თქმით „მერანი“, უფრო სწორად, გუნდს შემორჩენილი ფეხბურთელები ხვალიდან შეუდგებიან ვარჯიშს. კლუბი მწვრთნელ-მოთამაშეთა დავალიანების გასტუმრებასაც აპირებს. თუ მოარულ ხმებს ვერწმუნებით, ავჭალაში ფული კაპიტნის, იოსებ დევიძის „ტორპედოში“ გასხვისებით გაჩნდაო. მერე კი ძნელად სავარაუდოა ვინ უპატრონებს „მერანს“.

**გამუკა ძვანტალიანი**

# იოანიძის საკონტროლო გასროლა

## ერთი ტორპედოელი ჯობია ორს





ალექსანდრ შტელინმა და სოსო ფილიამ გუშინწინ შეგირდები გააჯიბრეს

**შეხვედრა** ახალი დაწყებული იყო, როდესაც მასპინძლებმა საკუთარ საჯარიმოში წესის დარღვევით ითამაშეს და ბორის გონჩაროვმა ყოფილ თანაგუნდელებს 11-მეტრიანიდან გაუტანა. ანგარიში მალევე გათანაბრდა. ზურაბ იონანიძემ 20 მეტრიდან ოსტატურად შეასრულა საჯარიმო. რამდენიმე წუთში ზღვისპირელთა კარში მეორეც გავიდა. ფოთიდან ქუთაისში მობრუნებულმა კახა კვეტენაძემ მახვილი კუთხიდან ახლო ძელთან დაურტყა ბიძინა ჩემიას და მეკარემაც ვეღარ მოიგერია. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა ერთი გოლიც მიითვალეს, თავი პაატა გვირჯიშვილმა გამოიჩინა და 3:1, ასე დასრულდა შაბათს გამართული „ტორპედო“ — „კოლხეთი“.

ეს თამაში საკონტროლო გახლდათ. „ტორპედომ“ ბაკურიანში 12-დღიანი შეკრება დაასრულა და კოლხებს, ფაქტობრივად, ქუთაისში დაბრუნებისთანავე გაეჯიბრა. ქუთაისელთა ახალი თავკაცი ალექსანდრ შტელინი, მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ფარერის კუნძულების „B36“-თან აპირებს ძირითადი შემადგენლობის შერჩევას და, რაც ხშირად ნახავს ფეხბურთელებს საქმეში, მით უკეთესი. „კოლხეთთან“ ჩემპიონის სასტარტო შემადგენლობა ასეთი გახლდათ: ***ტოგონიძე, ლ. ჭელიძე, მახვილაძე, ქემოკლიძე, დევიძე, გურუა, კ. კვეტენაძე, მ. ასათიანი, იონანიძე, ვ. ქუთათელაძე, დ. ჯანაშია.*** შეცვლაზე კი ***სტურუა, ხვადაგიანი, აკოფიანი, თოდუა, გამეზარდაშვილი, გ. ჩხეტიანი და გვირჯიშვილი*** შევიდნენ.

საშუასეზონო პერიოდში „კოლხეთი“ რვა ფეხბურთელმა დატოვა — ზურაბ ქვაჩახიამ და ჰამლეტ წიწვაძემ უცხოურ კლუბში მოწყობა გადაწყვიტეს, კახა კვეტენაძემ და ვალტერ გურუამ ქუთაისის „ტორპედოს“ მიაშურეს, ვალერი ტორჩინავამ და ელგუჯა ჰაპავამ ფეხბურთს თავი დაანებეს, ხოლო გიორგი ჭანტურიძისა და კახა დაუშვილის ასავალ-დასავალი ჯერაც უცნობია. ფაქტია, რომ რვავე ფეხბურთელი „კოლხეთიდან“ განთავისუფლების ფურცლით ხელდამშვენებული წავიდა.

ზღვისპირელთა დანაკლისი აშკარად თვალშისაცემია, თუმც ახალწვეულებზეც არ ითქმის აუგი — ქუთაისის ტორპედოელი ბორის გონჩაროვი, ბერძნულ „ნიკოლაოსში“ მოთამაშე ვალერი გაგუა, ტერნოპოლელი ირაკლი კუჭავა, სამგურალელი შალვა ლონლაძე და მერანელი გიორგი გაბიდაური ღლესდღეობით სოსო ფილიას მეთვალყურეობით ვარჯიშობენ. მათი საკითხიც თითქმის გადაწყვეტილია. ამ ფეხბურთელებს „კოლხეთთან“ ექვსთვიანი ხელშეკრულება უკვე გაფორმებული აქვთ, თუმც ექვსი თვის შემდეგ, თუ უცხოური კლუბის ვარიანტი გამოუჩნდათ, დაუბრკოლებლად შეეძლებათ წასვლა. არადა, სეზონის ბოლომდე „კოლხეთისთვის“ გაირჯებიან.

მათ გარდა ფოთელები რუსთაველ ზვიად ლაბაძესაც აკვირდებოდნენ, თუმც საბოლოოდ მასზე უარი თქვეს.

— ლაბაძე პერსპექტიული ბიჭია, ალნაგობაც კარგი აქვს, მაგრამ ჩვენთან მის პოზიციაზე უკვე საკმაო კონკურენციაა. ამიტომაც მოგვიხდა მისი გაშვება — ასე ახსნა კოლხთა თავკაცმა ეს გადაწყვეტილება.

სოსო ფილიამ ქუთაისში „კოლხეთი“ ასეთი შემადგენლობით ათამაშა: ***ჩემია, ნარსია, ზვ. ლაბაძე, მ. ქობულაძე, გოროზია (წურწუმია), შ. ლონლაძე, გაგუა, ჯაბნიძე (კრასოვსკი), ფანჩულიძე, გონჩაროვი, ე. გვასალია.***

7 ივლისს, დილით, სოსო ფილია ბულგარულ შეკრებაზე წაიყვანს შეგირდებს. მანამდე კი ზღვისპირელები და რიონისპირელები ერთხელაც შეებმებიან ამხანაგურად, ამჯერად „ფაზისზე“ გუნდები ხვალისთვის არიან შეთანხმებულნი.

**იუზა ბაციტაძე *ქუთაისიდან***

# ინტერტოტოს თასი

# რითი გვჯობია ევროპა

## ბელგიამ იცის, ჯორჯიამ არა

ინტერტოტოს თასი 2002. პირველი შესარჩევი ეტაპი. საპასუხო მატჩი

**ვიტ ჯორჯია 3:2 ლოკერენი**

პირველი მატჩი 1:3

თბილისი. 29 ივნისი. 19 საათი. „ლოკომოტივი". 4 000 (ტევადობა 25 600)

0:1 სილა (15), 1:1 გოჩაშვილი (45), 1:2 კომოტო (54), 2:2 ყიფიანი (61), 3:2 წუწუნავა (90)

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია: მერლანი, კვაბაძე (ლ. მერებაშვილი 61), იანკოვსკი (წუწუნავა 70), კობიაშვილი, ლ. ნოზაძე, დოლიძე, თედორაძე, ყიფიანი, ვ. გოჩაშვილი (გ. მერებაშვილი 83), მელქაძე, ადამია. სათადარიგონი: მამარდაშვილი, სახოკია, მ. ცქიფურიშვილი. მწვრთნელი: ჯანი კარნევალი | ლოკერენი: ვან დერ ოუგტი, კონტე, კატანა, ზერი, ვიდარსონი, გრეტარსონი, კრისტინსონი (კომოტო 46), სოლი, სილა, დე ბიული, ზუნდი (ვან ჰოი 87). სათადარიგონი: დე ვრიე, დე ნიფი, მ. კულიბალი, ვან დენ დრიე. მწვრთნელი: პოლ პუტი |

გაფრთხილებები: გრეტარსონი (78), ვან ჰოი (90)

მსაჯები: მაიკლ როსი, ჯონ მაკდაუელი, დევიდ რედფერნი (ჩრდ. ირლანდია); ზურაბ ანიაშვილი (საქართველო)

უეფას დელეგატი: ჰასან სუილანი (თურქეთი)

ჯარიმა 9-13; კუთხური 9-3; კარისკენ დარტყმა 10-12; კარში დარტყმა 11-8; თამაშგარე 9-6

მამუკა კვანტალიანი

ევროსარბიელზე უწყვეტად თამაში, დანახარჯის ამოგება, ევროპულ საფეხბურთო ბაზარზე საკუთარი ფეხბურთელების გაყვანა და, ალბათ, ევროპაშივე სახელისა და იმიჯის განმტკიცება — სხვა რა მიზნით უნდა დათანხმებულიყო „ვიტ ჯორჯია" ფოთელებისგან და ბათუმელებისგან უარყოფილ ინტერტოტოზე თამაშს?!

ბელგიურ „ლოკერენთან" ორმატჩიანი პაექრობის შემდეგ, დანამდვილებით ვერ მოგახსენებთ, რას მიაღწიეს ვიტელებმა. ფაქტი ერთია, ქართველებისთვის ინტერტოტოს გათამაშება ნაადრევად დასრულდა.

არადა, საბოლოო გამარჯვება ახლოს იყო. ვინც ბელგიური მატჩის ვიდეოჩანაწერი იხილა და შაბათსაც ვაკეში მისვლა არ დაიზარა, დაგვეთანხმება, რომ „ლოკერენის" წაქცევა მაინცდამაინც დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

„ვიტ ჯორჯიამ" სტუმრად გაშვებული სამი გოლიდან ორი თავად გამოიგონა. დაცვაში დაშვებული ბავშვური შეცდომების შემდეგ იხეირეს მასპინძლებმა. თბილისშიც იგივე განმეორდა, „ლოკერენს" ორჯერ დაწინაურების შანსი ხონჩით მიართვეს ქართველებმა.

პირველი ტაიმი ისე წარიმართა, მოუხელავად მოულოდნელად გაშვებული გოლისა, ვიტელებს საქმე სათავისოდ უნდა დაესრულებინათ. დღეს უკვე გვიანია ვერგამოყენებულ უამრავ საგოლე მომენტებზე წუწუნი. მელქაძეს, ადამიას, გოჩაშვილს და მის თანაგუნდელებს როგორმე სამიზნე რომ გაესწორებინათ და ბელგიელი მეკარე ბურთით არ ეცემათ, შეიძლებოდა, თამაში არასაფეხბურთო ანგარიშითაც დასრულებულიყო. უიღბლობაზე, პრობლემებსა და მსაჯების დაბღერობაზეც უპრიანი იქნება ლაპარაკი, მაგრამ ეს წარუმატებლობის ნამდვილ მიზეზს მიჩქმალავს.

ვეტერინარებს რომ სასურველი ანგარიშით მოეგოთ, დღეს ჩვენი გუნდის ხარვეზები თითქმის არავის ეხსომებოდა. გერმანული „შტუტგარტის" მოლოდინში იქნებოდნენ ქომაგები და იმედით იცხოვრებდნენ მომავალ გაწბილებამდე.

დიდი ვერაფერი გუნდი ყოფილა „ლოკერენი". ბელგიელებს არც ევროპელთათვის დამახასიათებელი გამძლეობა გამოუჩენიათ და ვერც ჩვენებურ მოთამაშეებზე ნიჭიერები ჩანდნენ. უფრო მეტიც, სტუმარ-მასპინძლის ტექნიკური შესაძლებლობებს თუ განვიხილავთ, მაშინ ქართველების სოლიდურ უპირატესობასაც აღმოვაჩენთ. განსხვავება თამაშის ცოდნაშია. ბელგიელები გამართულ ფეხბურთს თამაშობენ და სწორედ ეს გახლავთ შემდეგ ეტაპზე მათი გაღწევის გასაღებიც.

90 წუთის მანძილზე სტუმრებს ძალიან იშვიათად სჭირდებოდათ ბურთთან ორ შეხებაზე მეტი. თითოეულმა ფეხბურთელმა იცოდა, თანაგუნდელი როგორ დაეხმარა, შეტევისას როგორ გათავისუფლებულიყო მეურვისგან და ისედაც დაქსაქსული ქართველთა სამკაციანი დაცვა როგორ დაებნია. სხვა ამბავია, რამდენად მოხდენილად და უშეცდომოდ გამოსდიოდათ ყოველივე, მაგრამ კონტრშეტევებისთვის წამებილა ეხარჯებოდათ.

„ვიტ ჯორჯია" კი ბლანდავდა და ხლართავდა შეტევებს, ხშირად თავიანთ ჩანაფიქრშივე იბნეოდნენ მასპინძლები და საგოლე წამები იკარგებოდა. თუ საშუალო გაქანების უცხოელს შეუძლია, ბურთის გამართულად გორება, რატომ არ ძალუძს იგივე ნიჭიერ ქართველს? ამ კითხვაზე სწორი პასუხი მიგვაახლოვებს საფეხბურთო ევროპამდე, თორემ რა მნიშვნელობა აქვს, „ლოკერენს" გასცდები წვალებით თუ „შტუტგარტი" გაგანადგურებს.

შაბათს მასპინძელთა გატანილი გოლები მართლაც ლამაზი სანახავი გამოდგა. დაწინაურებულ სტუმარს „ვიტ ჯორჯიას" შტურმი დაატყდა თავს. ეგ არის მხოლოდ, რომ ვეტერინართა წინსვლა ცალკეული ფეხბურთელების ინდივიდუალურ გაბრწყინებაზე იყო დაფუძნებული და გამიზნული, ორგანიზებული შეტევა ნაკლებად შეინიშნებოდა.

...ადამიამ მეტოქის დაცვა გააბითურა და დასარტყმელად გოჩაშვილს დაუგორა. „ფომსკიმ" მოახლოებული მცველის მოტყუება მოინდომა, კიდევ კარგი, გამოუვიდა, თორემ ის შეტევაც უგოლოდ დასრულდებოდა.

...ყიფიანმა და ადამიამ გაარღვიეს „ლოკერენის" უკანა ხაზი. ორმა გიორგიმ მთელი ტექნიკური არსენალი დახარჯა მომენტის შესაქმნელად და ვიტელთა კაპიტანყოფილმაც უნაკლოდ დაჰკრა. ბელგიელთა მეკარე ამაოდ შესცქეროდა თავზე გადავლებულ ბურთს.

...თამაშის ბოლოს კიდევ ერთხელ შეირხა ბელგიელთა კარის ბადე. მელქაძემ საჯარიმოში პასი არ დაუგვიანა წუწუნავას, დანარჩენი კი ტექნიკის საქმე იყო. სამწუხაროა, ლევანმა მხოლოდ ერთხელ რომ მიიღო მართებული გადაწყვეტილება.

შაბათს ორივე გუნდი შორს იყო ჩვეული ფორმისგან, საჭირო მომენტში ერთმაც ვერ მოახერხა ტემპის მომატება. ისე არც იყო გასაკვირი, მოსამზადებლად ხომ ორ კვირაზე მეტიც აღარ ჰქონდათ მეტოქეებს. ერთი თვის შემდეგ, როცა ევროპაში ჩემპიონატები დაიწყება, „ლოკერენი" იგივე ფეხბურთს ითამაშებს, ოღონდ გაცილებით სწრაფად და მობილურად. „ვიტ ჯორჯიაც" მოუმატებს, მაგრამ შინაარსობრივად თამაშში ბევრიც არაფერი შეიცვლება.

მატჩამდე ჯანი კარნევალი შეგვპირდა, შემდეგ ეტაპზე გასასვლელად საჭიროზე მეტ გოლს გავიტანთო, მაგრამ ვიტელთა თავკაცს შესაძლო შეცდომებზე არაფერი უთქვამს. მას ბელგიაში ჩასვლისთანავე პრობლემები არ მოჰკლებია. აბა, საიდან უნდა სცოდნოდა, პარასკევს საღამოს გუნდის ერთ-ერთი „ლიდერი" დავით დოლმელაშვილი თუ მოიწამლებოდა და სიცხიანი მეორე დღეს მოედანზე ვერ გავიდოდა. იტალიელის გაწვრთნილი გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბიჭებს ყურები არ ჩამოუყრიათ მაშინაც კი, როცა შემდეგ ეტაპზე გაღწევის შანსი საბოლოოდ გაფრინდა. მათ ბოლომდე იბრძოლეს და მოიგეს. რაც იცოდნენ და ასწავლეს, თითქმის ყველაფერი გამოიყენეს. მერე ქომაგებსაც მადლობა გადაუხადეს მხარდაჭერისთვის.

იქნებ ჩვენ „ვიტ ჯორჯიას" დაცვაში სულ სხვაგვარ განლაგებას და წესრიგს ველოდით, იქნებ სულ განსხვავებული სათამაშო სქემა გვსურდა გვენახა, ცოტა საფეხბურთო ღმერთსაც მოწყალე თვალით რომ გადმოეხედა... თუმც ეს ხომ ის უმნიშვნელო დეტალებია, რაც წარუმატებლობის მიზეზს, მით უფრო შედეგს, ველარ შეცვლის.



[illegible] ფოტო

დავით დოლიძე ბელგიელ სოლას გასცდა, „ვიტ ჯორჯია" კი „ლოკერენს" ვერა

## ინტერტოტოს თასი 2002

პირველი შესარჩევი ეტაპი. საპასუხო მატჩები

**სენტ პატრიკზი (ირლანდია)** 1:0 რიეკა (ხორვატია) (2:3)
შირაქი (სომხეთი) 3:3 **სანტა კლარა (პორტუგალია)** (0:2)
**ჰაკა (ფინეთი)** 1:1 ობილიჩი (იუგოსლავია) (2:1)
**სინოტი (ჩეხეთი)** 4:0 კონსტრუქტორული (მოლდოვა) (0:0)
**დინაბურგი (ლატვია)** 1:0 ზაგლებე (პოლონეთი) (1:1)
უნიონი (ლუქსემბურგი) 0:0 **გლორია (რუმინეთი)** (0:2)
ძერსვისი (უელსი) 1:1 **მარეკი (ბულგარეთი)** (0:2)
ბროტნიო (ბოსნია) 2:1 **ციურიხი (შვეიცარია)** (0:7)
**სლავენი (ხორვატია)** 5:0 ტრენჩინი (სლოვაკეთი) (1:3)
კოპერი (სლოვენია) 0:0 **ჰელსინგბორგი (შვედეთი)** (0:1)
**აშდოდი (ისრაელი)** 1:1 ბრნო (ჩეხეთი) (5:0)
სენტ ჯულია (ანდორა) 2:2 **კოლრეინი (ჩრდ. ირლანდია)** (0:5)
აკადემისკი (დანია) 0:2 **ბატე (ბელარუსი)** (0:1)
B 68 ტოფტირი (ფარერები) 0:6 **სენტ გალენი (შვეიცარია)** (1:5)
**ჰაფნარფიორდური (ისლანდია)** 1:2 ცემენტარნიცა (მაკედონია) (3:1)
**ბრეგენცი (ავსტრია)** 3:1 პარალიმნი (კვიპროსი) (2:0)
**ტეუტა (ალბანეთი)** 0:0 ლა ვალეტა (მალტა) (2:1)
**ძალგირისი (ლიტვა)** 0:0 პონვედი (უნგრეთი) (1:0)
**ლევადია (მაარდუ, ესტონეთი)** 1:2 ლეირია (პორტუგალია) (3:0)

### მეორე ეტაპი. 6-7 ივლისი, 13-14 ივლისი

| | | |
|---|---|---|
| სლავენი (ხორვატია) | – | ბელენენსეში (პორტუგალია) |
| კოლრეინი (ჩრდ. ირლანდია) | – | ტრუა (საფრანგეთი) |
| მიუნხენ 1860 (გერმანია) | – | ბატე (ბელარუსი) |
| ვილიარეალი (ესპანეთი) | – | ჰაფნარფიორდური (ისლანდია) |
| ფულემი (ინგლისი) | – | ჰაკა (ფინეთი) |
| სოშო (საფრანგეთი) | – | ძალგირისი (ლიტვა) |
| გენტი (ბელგია) | – | სენტ პატრიკზი (ირლანდია) |
| შტუტგარტი (გერმანია) | – | ლოკერენი (ბელგია) |
| ტორინო (იტალია) | – | ბრეგენცი (ავსტრია) |
| კრილია სოვეტოვი (რუსეთი) | – | დინაბურგი (ლატვია) |
| ტეპლიცე (ჩეხეთი) | – | სანტა კლარა (პორტუგალია) |
| ტილბურგი (ჰოლანდია) | – | სენტ გალენი (შვეიცარია) |
| ციურიხი (შვეიცარია) | – | ლევადია (მაარდუ, ესტონეთი) |
| სინოტი (ჩეხეთი) | – | ჰელსინგბორგი (შვედეთი) |
| გლორია (რუმინეთი) | – | ტეუტა (ალბანეთი) |
| აშდოდი (ისრაელი) | – | მარეკი (ბულგარეთი) |



აკადემისკი — ბატე. ბელარუსი არტიომ კანცავი (№10) მასპინძელ რასმუს დაუგაარდს გაექცა

## ფინეთი

მე-12 ტური: კუოპიო — მიუპა 2:1; ჰამენლინა — ალიანსი 2:2; ჰაკ — ჰაკა 0:3; იარო — ჯაზი 2:0; ლაჰტი — ინტერი 0:2; ტამპერე — ვაასა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 13 | 6 | 5 | 2 | 22:12 | 23 |
| ინტერი | 12 | 6 | 4 | 2 | 18:6 | 22 |
| ჰაკა | 12 | 7 | 1 | 4 | 19:12 | 22 |
| ჰაკ | 12 | 6 | 3 | 3 | 18:15 | 21 |
| ალიანსი | 12 | 6 | 3 | 3 | 17:15 | 21 |
| ტამპერე | 12 | 4 | 7 | 1 | 11:8 | 19 |
| იარო | 12 | 4 | 3 | 5 | 13:16 | 15 |
| ჰამენლინა | 12 | 2 | 6 | 4 | 14:16 | 12 |
| ლაჰტი | 12 | 3 | 3 | 6 | 9:18 | 12 |
| ვაასა | 12 | 2 | 4 | 6 | 11:16 | 10 |
| კუოპიო | 11 | 2 | 3 | 6 | 12:19 | 9 |
| ჯაზი | 12 | 2 | 2 | 8 | 10:21 | 8 |

## რუსეთი

პრემიერლიგა. XIII ტური

ცსკა 2:0 შინიკი
ანჟი 0:0 ლოკომოტივი
დინამო 1:0 ურალანი

თასის მეთექვსმეტედფინალი

ჩკალოვეცი (III) 0:4 სპარტაკი

## ნორვეგია

მე-14 ტური: ბოდიო გლიმტი — ვოლერენგა 2:2; ბრანი — მოლდე 4:1; ლინი — ბრინი 1:0; ოდ გრენლანდი — როზენბორგი 1:3; სოგნდალი — მოსი 0:4; სტაბეკი — სტარტი 5:2; ვიკინგი — ლილესტრომი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლინი | 13 | 10 | 1 | 2 | 21:14 | 31 |
| მოლდე | 13 | 8 | 2 | 3 | 24:12 | 26 |
| ოდ გრენლანდი | 14 | 8 | 1 | 5 | 23:18 | 25 |
| როზენბორგი | 13 | 7 | 3 | 3 | 26:14 | 24 |
| სტაბეკი | 13 | 6 | 4 | 3 | 24:15 | 22 |
| ვიკინგი | 13 | 6 | 4 | 3 | 26:18 | 22 |
| ვოლერენგა | 13 | 5 | 5 | 3 | 24:15 | 20 |
| ბრანი | 13 | 5 | 2 | 6 | 19:23 | 17 |
| ბოდიო გლიმტი | 13 | 4 | 3 | 6 | 18:17 | 15 |
| ლილესტრომი | 14 | 3 | 4 | 7 | 13:20 | 13 |
| მოსი | 13 | 3 | 4 | 6 | 15:23 | 13 |
| ბრინი | 13 | 3 | 3 | 7 | 15:23 | 12 |
| სოგნდალი | 13 | 2 | 2 | 9 | 15:32 | 8 |
| სტარტი | 13 | 1 | 4 | 8 | 13:32 | 7 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვეიცარია. A ჯგუფი** | | | | | | |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 22.30 | 001 | სენტ გალენი-ციურიხი | 1,85 | 3,1 | 3,8 | 1,15 | 1,2 | 1,7 |
| | | **6 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 002 | აარაუ-ბაზელი | 3,0 | 3,1 | 2,2 | 1,5 | 1,25 | 1,25 |
| 20.30 | 003 | გრასჰოპერი-ვილი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| | 004 | გრასჰოპერი-ვილი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 22.30 | 005 | ქსამაქსი-თუნი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 22.30 | 006 | იანგ ბოისი-ლუცერნი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| | | **7 ივლისი** | | | | | | |
| 19.15 | 007 | დელემონი-სერვეტი | 2,9 | 3,0 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| | | **შვეიცარია. B ჯგუფი** | | | | | | |
| | | **5 ივლისი** | | | | | | |
| 22.30 | 008 | ბადენი-ლუგანო | 2,9 | 3,0 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| | | **6 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 009 | კონკორდია-ვადუცი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 20.30 | 010 | ივერდონი-შაფჰაუზენი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| | 011 | ივერდონი-შაფჰაუზენი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 22.30 | 012 | ბელინცონა-ვოლენი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 22.30 | 013 | კრიენსი-ლოზანა | 2,9 | 3,0 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| 22.30 | 014 | სიონი-ვინტერთური | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| | | **რუსეთი. მე-13 ტური** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 015 | ტორპედო-როსტსელმაში | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1 | 1,2 | 1,85 |
| 16.00 | 016 | როტორი-კრილია | 2,3 | 3,0 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| 16.00 | 017 | ზენიტი-ალანია | 1,35 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,1 | 2,45 |
| | 018 | ზენიტი-ალანია 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 16.00 | 019 | სოკოლი-სატურნი | 2,7 | 3,0 | 2,4 | 1,4 | 1,25 | 1,3 |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 021 | ზილ-სპარტაკი | 7,0 | 3,8 | 1,35 | 2,45 | 1,1 | 1 |
| | | **შვედეთი. მე-8 ტური** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 023 | ჰელსინგბორგი-აიკ | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 024 | კალმარი-გეტებორგი | 3,4 | 3,1 | 2,0 | 1,6 | 1,25 | 1,2 |
| 22.00 | 025 | ორგრიტე-ორებრო | 1,75 | 3,1 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| | | **4 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 026 | ჰამარბი-ლანდსკრონა | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 22.00 | 027 | ნორჩოპინგი-სუნდსვალი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 22.00 | 028 | მალმო-ჰალმსტადი | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| | | **5 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 029 | იურგორდენი-ელფსბორგი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| | | **ფინეთი. მე-13 ტური** | | | | | | |
| | | **4 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 035 | მიუპა-ვაასა | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| | 036 | მიუპა-ვაასა 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 20.30 | 037 | ალიანსი-ტამპერე | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,3 | 1,2 | 1,4 |
| 20.30 | 038 | ინტერი-ჰაამეენლინა | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| | 039 | ინტერი-ჰაამეენლინა 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 20.30 | 040 | იარო-ლაჰტი | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 20.30 | 041 | ჯაზი-ჰკ | 4,0 | 3,2 | 1,75 | 1,75 | 1,2 | 1,1 |
| | | **ავსტრია. სუპერთასი** | | | | | | |
| | | **6 ივლისი** | | | | | | |
| 20.15 | 046 | შტურმი-გრაცერი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| | | **ინტერტოტო. მე-2 ეტაპი. 1-ლი მატჩები. 6 ივლისი** | | | | | | |
| 19.00 | 047 | კრილია-დინაბურგი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 19.00 | 048 | კოლრეინი-ტროა | 5,3 | 3,5 | 1,55 | 2,1 | 1,1 | 1,05 |
| 19.00 | 049 | ფულემი-ჰაკა | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 20.00 | 050 | სლავენი-ბელენენსეში | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 20.00 | 051 | გლორია-ტვენტე | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| 20.00 | 052 | ამიდოდი-მარიბო | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 20.00 | 053 | ვილარეალი-ჰაფნარფიორდური | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| 20.00 | 054 | ტორინო-ბრიუგენსი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| 20.00 | 055 | ტეპლიცე-სანტა კლარა | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 22.30 | 056 | ციურიხი-ლევადია | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 22.30 | 057 | სოშო-გალგარიხი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,05 | 3,55 |
| 22.30 | 058 | ტილბურგი-სენტ გალენი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 23.00 | 059 | გენტი-სენტ პატრიკსი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| | | **7 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 060 | სინტოტ-ჰელსინგბორგი | 2,0 | 3,0 | 3,5 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 20.30 | 061 | მიუნხენი-ბაკე | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 21.00 | 062 | შტუტგარტი-ლოკერენი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,2 |

**სარბიელი**

**სპორტული ლატარია**

CROCO

BOOKMAKERS

**კროკო**

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახლებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| **თბილისი** | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I[a] კორპუსი | |
| **ქუთაისი** | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა № 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| **გორი** | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| | მშვიდობის გამზირი №11 | |
| **თელავი** | კოსტავას ქუჩა №23 | |
| **რუსთავი** | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| **ბათუმი** | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯაველიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| **ხელვაჩაური** | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| **მარნეული** | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| **ოზურგეთი** | გურიის ქუჩა №23 | |
| **გურჯაანი** | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| **ფოთი** | რკალი, რუსთაველის №18 | |
| **საგარეჯო** | დავით ალმაშენებლის №30 | |
| **სამტრედია** | რუსთაველის გამზირი №27 | |
| **ხაშური** | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| **წნორი** | სტალინის ქუჩა №1 | |
| **ბორჯომი** | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| **ახმეტა** | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| **ზესტაფონი** | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| **ახალციხე** | ნათენაძის ქუჩა №7 | |

## ფორმულა 1. ბრიტანეთი. 7 ივლისი (14.00)

| | 5001 გამარჯვებული | 5101 სამეული | 5201 ექვსეული | 5002 უსწრაფესი წრე |
|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 1,7 | 1,15 | 1,08 | 2,0 |
| ბარიკელო | 4,0 | 1,5 | 1,25 | 3,0 |
| მონტოია | 7,0 | 1,85 | 1,3 | 4,0 |
| რ.შუმახერი | 8,0 | 2,2 | 1,3 | 6,0 |
| კულტჰარდი | 9,0 | 2,5 | 1,3 | 12,0 |
| რაიკონენი | 15,0 | 4,0 | 1,45 | 20,0 |
| ბატონი | 40,0 | 10,0 | 2,4 | 50,0 |
| ტრული | 40,0 | 10,0 | 2,5 | 50,0 |
| ჰაიდფელდი | 75,0 | 15,0 | 2,8 | 100,0 |
| მასა | 75,0 | 20,0 | 4,0 | 100,0 |
| ფიზიკელა | 100,0 | 25,0 | 4,4 | 100,0 |
| ფრენცენი | 100,0 | 25,0 | 5,0 | 100,0 |

| 5003 რამდენი პილოტი დაამთავრებს რბოლას | |
|---|---|
| 11 ან ნაკლები | 4,0 |
| 12 ან 13 | 3,5 |
| 14 ან 15 | 3,5 |
| 16 ან მეტი | 2,5 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცქიტიშვილის კვირა

## ამერიკული ცხადი ნიკას სიზმარი ჰგონია: მეშინია, იატაკზე გადმოვარდნილს არ გამეღვიძოს

*საქართველოს ნაკრების 19 წლის ფორვარდ ნიკა ცქიტიშვილს ბოლო ერთ კვირაში თავს იმდენი რამ გადახდა, ჯეროვნად, ალბათ, კიდევ კარგა ხანს ვერ გააცნობიერებს. 211-სანტიმეტრიან ქართველს ევროპულ სარბიელზე ხმაურიანი სიტყვა ჯერაც არ ეთქვა და აგერ, კონტინენტის ნებისმიერი ვარსკვლავისთვის საოცნებო ნბა-მ გაუღო კარი. დრაფტის ისტორია დაიმახსოვრებს ამ ქართულ გვარს, ცქიტიშვილი მეორე ევროპელია, რომელიც დრაფტის პირველ ხუთეულში აირჩევიათ. მარშან ეს პატივი წილად ხვდა „მემფისის" მიერ მესამე ნომრად არჩეულ პაუ გასოლს, რომელიც წლეულს საუკეთესო ახალბედაც გახდა. ამერიკული შთაბეჭდილებებითა და სიხარულით გაბრუებული ცქიტიშვილი დღეს ტრევიზოშია. მისმა ახალმა გუნდმა „დენვერ ნაგიტსმა" ნიკა დროებით გაათავისუფლა, რათა შემდეგ საფუძვლიანად შეუდგეს მისგან ისეთი კალათბურთელის გამოძერწვას, რომლის ირგვლივაც „დენვერის" მომავალი უნდა აშენდეს. ნიკას გუშინ ტრევიზოში შევეხმიანეთ და ამერიკულ თავგადასავალი დაწვრილებით გამოვკითხეთ*



ნიკა ცქიტიშვილის კარიერის უბედნიერესი წუთები: დევიდ შტერნი ნბა-ში შეუძღვა

— ნიუ იორკში ნბა-ს წარმომადგენლები დამხვდნენ და სასტუმრო „ნიუ იორკში" წამიყვანეს. ჩემი ნახვა ჯერი ვესტს უნდოდა, მაგრამ ვერ მოიცალა. სანამ დრაფტი მოეწყობოდა, ორი დღე ქალაქს ვეცნობოდი.

**— რაიმე ოფიციალური შეხვედრა არ გქონია?**

— ორი კლუბის წარმომადგენლებმა მნახეს. „კლიპერსისა" და „ნიუ იორკის" მენეჯერებთან ერთად ფსიქოლოგებიც მელაპარაკნენ. ათას რამეს მეკითხებოდნენ, ყველაფერი აინტერესებდათ.

**— ვარჯიშის ნახვა არ ისურვეს?**

— არა, და მაგის დრო არც იყო. მხოლოდ ვისაუბრეთ და არ ვიცი, რა დასკვნები გამოიტანეს ჩემზე.

**— „დენვერთან" თუ გქონდა რაიმე კონტაქტი დრაფტამდე?**

— კლუბის გენერალურმა მენეჯერმა კიკი ვანდევეიჯმა სასტუმროში დამირეკა და მცირე ხანს მელაპარაკა. ჩვენ ერთმანეთს კარგად ვიცნობთ, შარშან ზაფხულს ის და „დენვერის" კიდევ ორი მენეჯერი ტრევიზოში „ბენეტონის" მოწყობილ მაღალ კალათბურთელთა სავარჯიშო კემპზე იყვნენ. მე და ზაზა ფაჩულიაც იქ ვიმყოფებოდით და ვანდევეიჯი ახლოს გავიცანი. ახლაც, ამერიკაში პირველად რომ მნახა, ძმაკაცივით გადამეხვია, თითქოს ჩემი ტოლი ყოფილიყო. ჰოდა, საუბრის ბოლოს მითხრა, „ველქამ თუ დენვერ"-ო. მივხვდი, რომ ჩემს აყვანას აპირებდა, მაგრამ ბოლომდე მაინც არ მჯეროდა.

**— გამოდის, „დენვერის" ხალხს დრაფტამდე არ უნახიხარ...**

— დრაფტამდე კი არა, დენვერელებმა ისე ამირჩიეს, არც ვუნახივარ. ჩემი მომავალი გუნდი დრაფტს არ ესწრებოდა, ისევე, როგორც „ჰიუსტონის" მიერ პირველ ნომრად არჩეული იაო მინგი. დენვერსა და ნიუ იორკს შორის ტელეხიდი იყო და ვანდევეიჯიც ტელევიზორით ადევნებდა თვალს „მედისონ სკვერ გარდენში" მიმდინარე მოვლენებს.

**— მერე ასეთ ვითარებაში მოელოდი, რომ დენვერელები აგირჩევდნენ?**

— როგორც ვთქვი, იმედი მქონდა, მაგრამ არ მჯეროდა. მგონი, ჩემზე მეტად ამაში ამერიკელი ჟურნალისტები იყვნენ დარწმუნებულნი. როცა ნბა-ს კომისარმა დევიდ შტერნმა გამოაცხადა, „მეხუთე ნომრად „დენვერი" ირჩევს..." ამის შემდეგ მან მცირე პაუზა გააკეთა და ამ დროს ყველა ტელეკამერა ჩემკენ შემობრუნდა. ისედაც დაბნეულმა, არ ვიცოდი, რა მექნა და ამ დროს შტერნმაც, როგორც იქნა, ამოღერღა, ცქიტიშვილსო.

**— რა გრძნობა დაგეუფლა შენი გვარის გაგონებაზე?**

— მართალი გითხრათ, ზუსტად არც მახსოვს, რას ვაკეთებდი. იმ წუთებში ჩემზე ბედნიერი არავინ მეგონა. ძლივს ავიარე კიბეები და დევიდ შტერნს ჩამოვართვი ხელი.

**— სანამ შენს თავგადასავალს გააგრძელებ, მოკლედ გვითხარი, თუ რა ხდებოდა „მედისონ სკვერ გარდენში"...**

— მთელი დარბაზი დიდი ეკრანებით იყო სავსე და დრაფტში მონაწილეთა სათამაშო ეპიზოდებს აჩვენებდნენ. საღამო ჩარლზ ბარკლის მიჰყავდა, თუმცა ოფიციალური ცერემონიალის მთავარი ფიგურა დევიდ შტერნი იყო. დარბაზში სცენა მოეწყოთ, იქვე დაედგათ ათი მაგიდა, რომლებთანაც ამერიკელების მიერ დრაფტის ფავორიტებად დასახელებული ათი კალათბურთელი ვისხედით. ისე, ზოგიერთი ათეულში ვერც მოხვდა. მოთამაშეს რომ აირჩევდნენ, მეორის არჩევამდე ათიოდ წუთი გადიოდა. დასახელებული კალათბურთელი სცენაზე უნდა ასულიყო და შტერნისთვის ჩამოერთმია ხელი, რასაც ორი წუთი სჭირდებოდა. ამ ეპიზოდს ყველა ტელე და ფოტოკამერა იღებდა. ამის მერე არჩეული გადაცემის წამყვანს პირდაპირ ეთერში ხუთიოდ წუთს ესაუბრებოდა და მერე ცალკე ოთახში გაჰყავდათ, სადაც 15 ტელეარხის კორესპონდენტი სათითაოდ უსვამდა კითხვებს.

**— ცხადია, შენც ეს გზა გაიარე...**

— აბა, როგორ და წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიქნებოდი. მოულოდნელობით და სიხარულით გაბრუებული მთელი ამერიკის ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი. ყველაზე საშინელი კი ის იყო, ცალკე ოთახში რომ გამიყვანეს და 15-მა ტელეარხმა სათითაოდ ჩამომართვა ინტერვიუ. ყველანი თითქმის ერთი და იგივეს მეკითხებოდნენ და ყველაფერი რომ მორჩა, ისეთი მოქანცული ვიყავი, ლაპარაკის თავიც აღარ მქონდა. სწორედ ამ დროს მობილური ტელეფონი მომცეს, ვისაც გინდა, დაურეკე და შენი ამბავი ახარეო. პირველად ჩემს დას და სიძეს, ვატო ნაცვლიშვილს დავურეკე. სიხარულისგან ისე ვკანკალებდი, მხოლოდ იმის თქმა მოვახერხე, „დენვერმა" ამიყვანა-მეთქი.

**— აღელვებულს რაიმე კურიოზული ხომ არ შეგემთხვა?**

— მე არა, მაგრამ ბრაზილიელ ნენე ილარიოს, რომელიც „ნიუ იორკმა" მეშვიდე ნომრად აიყვანა და შემდეგ ჩემს გუნდს გაუცვალა, სანამ შტერნს ხელს ჩამოართმევდა, სიხარულისგან სამბა უცეკვია. არც მე გამხარებია ნაკლებად და რომ მომეფიქრებინა, სიამოვნებით შევუბერავდი ჩვენებურს, მაგრამ არც ამის გაკეთების თავი მქონდა.

**— ცეკვა კი გეხერხება, მაგრამ ამერიკელებმა რატომღაც ბალეტის მოცეკვავედ გაგიცნეს.**

— არჩევის შემდეგაც ერთ-ერთი პირველი მაგაზე მკითხეს. არა-მეთქი, რის ბალეტი, რა ბალეტი, ჩემი ქვეყნის ეროვნულ ცეკვებზე დავდიოდი, სადაც იარაღასხმულნი ცეკვავენ-მეთქი. მაგრამ რას გააგონებდი. ჟურნალისტებს მერეც ტვინი ვუბურღე, მაგრამ უკვე მთელ ამერიკას პირზე ეკერა ეს ამბავი და ვეღარაფერი შევასმინე.

**— ერთ ამერიკულ ვებ-გვერდზე გამოკითხვა იყო შენს მეტსახელთან დაკავშირებით. ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად ბალერონიც განიხილებოდა. საბოლოოდ თუ შეთანხმდნენ, რას შეგარქმევდნენ?**

— მკითხეს, რა გინდა, რომ დაგიძახოთო. იტალიაში სკიტას მეძახდნენ და თქვენ როგორც გინდათ-მეთქი. ეგრე იყოსო, ასე, რომ ამერიკაშიც სკიტა ვიქნები.

**— დენვერში როდის ჩახვედი?**

— იმ საღამოსვე დამირეკა კიკიმ. დღესვე გელი, ჩამოდიო, მაგრამ იმ დღეს რეისი აღარ იყო და მეორე დილით დენვერიდან გუნდის თვითმფრინავი ჩამოფრინდა. დენვერს მე, ილარიო და მარკუს კემბი გავემგზავრეთ. ეს ორნი ვანდევეიჯის გუნდმა „ნიუ იორკს" ანტონიო მაკდაიესში გაუცვალა.

**— როგორ დაგხვდნენ შენს ახალ კლუბში და თუ მოგეწონა დენვერი?**

— რაც იქ ვნახე, არასდროს დამავიწყდება. ყველაფერს რომ თავი დავანებო, „დენვერის" დარბაზი საოცრებაა. უზარმაზარ ნაგებობაში კალათბურთის დარბაზთან ერთად ჰოკეის და სხვა სახეობათა დარბაზებიცაა. იქვეა რაღაც საწარმო, აუზი და კიდევ ათასი რამ. იმხელა სივრცეა, შიგნით ტრაქტორებით დადიან.

დახვედრა კი ნაღდად გაუგონარი მოგვიწყვეს. სამ კაცს ორასი ჟურნალისტი და ათი ათასი გულშემატკივარი გველოდა. ცოტა ხნით სასტუმროში მიგვიყვანეს და ეგრევე დარბაზში გაგვაქანეს. ბურთთან შეხება არ გვქონია. ჟურნალისტებსა და გულშემატკივრებს გავეცანით, ათეულობით კითხვას ვუპასუხეთ.

**— რაო, რას გეკითხებოდნენ?**

— რაც ამერიკაში ვარ, კითხვები არ იცვლება. ძირითადად პირადი ცხოვრება აინტერესებთ. სად ცხოვრობ, რა მოგწონს, რა ზომის ფეხი გაქვს და ათასი ამგვარი რამ. ცხადია, კალათბურთზეც მკითხეს, რა პოზიციაზე მაღდვილდება თამაში, რა მანძილიდან ესვრით და ასეთები. მე ვუთხარი, რომ მათი მენეჯერი, კიკი, კარგი ადამიანია, აქამდეც ახლოს ვიყავით და ახლა უფრო დავახლოვდებით-მეთქი. ილარიო კი ლაპარაკის მოყვარული და ხუმარა ვინმეა. ინგლისური არ იცის და თან თარჯიმანი ახლდა. რომ გაიგეს, ყველანაირი კითხვა სიამოვნებდა, რაში აღარ ჩაეძიენ. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ილარიო ადრე ფეხბურთელი ყოფილა და კალათბურთი არც კი იცოდა, რა იყო. ეს კი იმით ახსნა, რომ ბრაზილიელია და ამით ყველაფერია ნათქვამი. მოკლედ, ყველამ მაგრად ვიცინეთ.

**— რამდენ ხანს დარჩი დენვერში?**

— ერთი დღე და წამოსვლა არ მინდოდა. არ ვიცი, რატომ იქცეოდნენ ასე, მაგრამ ყველა მთვრალი თამადასავით იყო, მივუახლოვდებოდი თუ არა, ხელს მხვევდნენ და მკოცნიდნენ, შენი იმედი გვაქვსო.

**— რა პირობით წამოხვედი და როგორ შეატყვე, კონტრაქტს თუ გაგიფორმებენ?**

— 14 ივლისს დენვერში უნდა ვიყო. საზაფხულო ლიგები იწყება და მეც იქ ვითამაშებ „დენვერთან" ერთად. კონტრაქტზე ოფიციალურად არ გვილაპარაკია, მაგრამ, როგორც გუნდის მენეჯერებმა მითხრეს, მას, ალბათ, 20 ივლისს გამიფორმებენ. ისიც გავიგე, რომ მომავალ სეზონში, ალბათ, ხშირად მომიწევს თამაში. „დენვერს" გამოკვეთილი ვარსკვლავი არ ჰყავს და ამიტომაც შანსი არაერთხელ მომეცემა.

**— ილარიო თითქმის შენი სიმაღლეა, კონკურენციას ხომ არ გაგიწევს?**

— არა, ბრაზილიელი ჩემი სიმაღლისა კია, მაგრამ 120 კილოა და მას ცენტრობას უპირებენ. რაც უნდა იყოს, უეჭველად მექნება თავის გამოჩენის შანსი და მეც ყველანაირად ვეცდები, არ შევრცხვე. ამისთვის სეზონისწინა ვარჯიშები დამეხმარება, სადაც თანაგუნდელებს შევეწყობი და ამერიკულ კალათბურთს გავუშინაურდები.

**— შენ რა პოზიციისთვის შეგიგულეს?**

— სამ ან ოთხ ნომერზე. გააჩნია, როგორ წავა ვარჯიშების საქმე. თუ წონაში მოვიმატებ, ალბათ, თავდამსხმელი ვიქნები, არადა, მსუბუქი ფორვარდი.

**— ცნობილთაგან კიდევ ვინ გაიცანი?**

— „ნიუ იორკის" ლიდერი ალან ჰიუსტონი და გოლდენსტეიტელი ჯეისონ რიჩარდსონი. არ ვტრაბახობ, მაგრამ მეც არანაკლებ პოპულარული ვიყავი წინა კვირაში. დრაფტის მერე ქუჩაში რომ გამოვედი, ხალხი მოდიოდა და მეუბნებოდა, შენ არა ხარ, მეხუთე ნომრად რომ აგიყვანესო. ავტოგრაფს უამრავი ადამიანი მთხოვდა. ერთხელაც ნბა-ს მაღაზიაში შევედი და რომ დამინახეს, მითხრეს, რისი ყიდვა გსურთ, ფასდაკლებით მოგცემთო.

**— „ბენეტონში" რა გითხრეს, ტრევიზოში რომ დაბრუნდი?**

— ყველამ მომილოცა და წარმატება მისურვა. მე კი ჯერაც არ მჯერა, რომ დრაფტის მეხუთე ნომერი ვარ. ისტორიაში ხომ ხუთეულში მხოლოდ ორჯერ მოხვედრილა ევროპელი, შარშან პაუ გასოლი მესამე იყო. არ ვიცი, თავი ახლაც სიზმარში მგონია და ხანდახან მეშინია, იატაკზე გადმოვარდნილს არ გამეღვიძოს.

**ირაკლი ბერტაია**




ახალმა დენვერელებმა ნიკა ცქიტიშვილმა და ნენე ილარიომ პრესკონფერენცია მხიარულად ჩაატარეს



დიდი „დინამოს“ ლეგენდა-შვიდეული

# სასწაულის ორმოცი წელი

*1962 წლის 29 ივნისი. ჟენევა. ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში ევროპის გრანდი, მადრიდის „რეალი“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონ თბილისის „დინამოს“ ხვდება. ცნობილ მიზეზთა გამო ტრიბუნებზე ქართული გუნდის ქომაგი სანთლით საძებარია, მრავალ ესპანელთან ერთად კი სხვა ევროპელნიც მადრიდულ კლუბს გულშემატკივრობენ. მატჩი ქართველთა ტრიუმფით დასრულდა — 90:83. თბილისის „დინამო“ ევროპის ჩემპიონთა თასს დაეუფლა. ჯერჯერობით ესაა ქართული კალათბურთის ყველაზე დიდი მიღწევა*



პატრიარქი ოთარ ქორქია

იმ დაუვიწყარი მატჩიდან 40 წელი გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა. იმ ქვეყანამ, ვისი სახელითაც „დინამომ“ ევროპის უპირველესი საკლუბო ტიტული მოიგო, ჭირიც მოგვჭამა, მაგრამ დარჩა საქმე. ახლა, როცა ჩვენს ღლევანდელ გუნდებს უყურებ, ის გამარჯვება ორმაგად ფასობს, ზოგს კი ეგებ არც სჯერა, ქართველები ევროპაში რომ პირველობდნენ.

შაბათს, 29 ივნისს, ჟენევური მატჩის ზუსტად მე-40 წლისთავზე, ვერის ბაღში ორიოდ საათით ის დიდი „დინამო“ გაცოცხლდა. გაცოცხლდა მოგონებებში, კინოკადრებში, იმ პერიოდის გაზეთებიდან მოხმობილ სიტყვებში და, რაც მთავარია, იმ რვა ცოცხალ ლეგენდაში, ქართული კალათბურთის ყველაზე დიდი გამარჯვება რომ გამოჭედეს.

რვაო, კი ვთქვით, მაგრამ საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ სცენაზე შვიდი ჟენევური მატჩის გმირი იდგა. მთავარი, ანუ გუნდის გონება, წარსულში ასევე ლეგენდარული კალათბურთელი და ქართული კალათბურთის პატრიარქთაგანი, „დინამოს“ თავკაცი ოთარ ქორქია სცენის წინ, დარბაზში იჯდა და მილოცვებსაც იქ იღებდა. შემაღლებულზე კი ჭარმაგნი, თუმც ჯერაც მხნენი — ნოდარ ჯორჯიკია, ვალერი ალთაბაევი, ლევან ინწკირველი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ლევან მოსეშვილი, ამირან სხიერელი და ილარიონ ხაზარაძე იდგნენ და ისმენდნენ, თუ რას წერდა მაშინდელი პრესა თითოეულ მათგანზე. მათ პატივსაცემად აჟღერდა მრავალი სიმღერა და თითოეულს ჯილდო-საჩუქრებიც გადაეცა.

პატივით გაიხსენეს იმ მატჩის გარდაცვლილი მონაწილენიც — ანზორ ლეჟავა, რეზო გოგელია და ალექსანდრე კილაძე.

თავში ვთქვით, „დინამო“ — „რეალის“ ფინალურ მატჩზე ტრიბუნებზე ქართული გუნდის ქომაგი სანთლით საძებარი იყოო. ერთადერთი ქართველი, რომელიც იმ თამაშს დაესწრო, ემიგრანტი მწერალი გრიგოლ რობაქიძე გახლდათ, რომელმაც ქართველთა ამ დიდ სპორტულ გამარჯვებას საგანგებო წერილიც უძღვნა.

# ბენეტონმა მარკოიშვილი შეათვალიერა

**ბათუმის** „ბასკოს“ 16 წლის უკანახაზელი მანუჩარ მარკოიშვილი იტალიიდან დაბრუნდა, სადაც ტრევიზოს „ბენეტონის“ ახალგაზრდულ გუნდში იმყოფებოდა გასასინჯად.

მარკოიშვილი „ბასკოში“ საქართველოს ორგზის ჩემპიონია. წლევანდელ სეზონში იგი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო. მანუჩარი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს კაპიტნობდა მოსკოვში ახლახან დამთავრებულ დსთ-სა და ბალტიის ქვეყნების ჭაბუკთა თამაშებზე და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მარკოიშვილს უთამაშია ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, სადაც მისით ბევრი უცხოელი დაინტერესდა, მათ შორის იტალიელთა ნაკრების თავკაციც. დღეს ეს კაცი „ბენეტონის“ მეორე მწვრთნელია და ახალგაზრდულ გუნდს ხელმძღვანელობს. „ბასკოს“ პრეზიდენტ მერაბ ემირიძის დახმარებით ახლაღა მოხერხდა მარკოიშვილის იტალიაში გამგზავრება. მანუჩარი ტრევიზოში ორი დღე იმყოფებოდა და ამ ხნის განმავლობაში ორჯერ ივარჯიშა იტალიელთა მეთვალყურეობით. პირველად უბურთოდ, მარტომ, მასპინძლებს მისი სიმაღლე, წონა, სისწრაფე, ხტომა და სხვა ამგვარი მონაცემები აინტერესებდათ. მეორედ მარკოიშვილმა „ბენეტონის“ დუბლებთან ივარჯიშა. იტალიელ თანატოლთაგან ერთ-ერთი მანუჩარისთვის კარგად იყო ნაცნობი. მის წინააღმდეგ ბასკოელს უთამაშია ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატზე, სადაც საქართველოს ნაკრებმა ორჯერ სძლია იტალიისას.

— იტალიაში მოსკოვიდან, ბათუმისა და სტამბოლის გავლით გავემგზავრე და დაღლილობის კვალობაზე, ვფიქრობ, ცუდი შთაბეჭდილება არ დამიტოვებია. იტალიელები მამხნევებდნენ, ნუ ინერვიულებ, რაც იცი, ის გააკეთეო — გვითხრა მარკოიშვილმა.

მოეწონათ თუ არა ქართველი და რას აპირებენ იტალიელები, უახლოეს მომავალში გაირკვევა. შეთანხმებისამებრ, მარკოიშვილი ტრევიზოში ჩავიდა და ბენეტონელებს თავისი შესაძლებლობები დაანახვა. ახლა ჯერი ბენეტონზეა.

**ირაკლი ბერტაია**



მანუჩარ მარკოიშვილი იტალიელთა ნისუხს ელის



# ჩეხებმა ყველას აურიეს

**ვიდრე** საქართველოს ნაკრები მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადება, ამ უქმეებზე ბუქარესტში ევროპის ერთა თასის წევრების უფროსები შეიკრიბნენ და საგაისო კალენდარი დაადგინეს.

ქართველთაგან ბუქარესტში რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი ზაზა ქასაშვილი და ეროვნული ნაკრების კურატორი გია ჭუმბურიძე გაემგზავრნენ.

საგაისო კალენდარი გვარიანად შეიცვალა. ეს იმიტომ, რომ ერთა თასის ბოლოადგილოსანის, ჰოლანდიის ადგილი ახალმა წევრმა, ჩეხეთმა დაიკავა და ტურნირის ორგანიზატორებმა დებიუტანტის ინტერესებიც გაითვალისწინეს.

წესით, საგაისო ერთა თასის მატჩების თანმიმდევრობა ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორიც წლეულს, ოღონდ ვინც წლეულს შინ თამაშობდა, იმავე მეტოქეს გაისად უნდა სტუმრებოდა და პირუკუ. ახლა კი სრულიად ახალი კალენდარი დადგინდა. ამასთან, თუ უწინ ერთა თასის გათამაშება 10 კვირა გრძელდებოდა, გაისად 8 კვირამდე შემცირდება, რაკი ერთა თასის უფროსი ძმის, ექვსი ერის გუნდებმა კალენდრის შემჭიდროვება გადაწყვიტეს, რათა დარჩენილი დრო სანაკრებო... [illegible] მოახმარონ. ერთა თასი კი, მოგეხსენებათ, ექვსი ერის პარალელურად იმართება. საგაისო კალენდარი ასე გამოიყურება:

**ერთა თასი 2003**

**15 თებერვალი. პირველი ტური**
პორტუგალია — საქართველო
ესპანეთი — რუსეთი
ჩეხეთი — რუმინეთი

**22 თებერვალი. მეორე ტური**
საქართველო — ესპანეთი
რუმინეთი — პორტუგალია
ჩეხეთი — რუსეთი

**8 მარტი. მესამე ტური**
რუსეთი — საქართველო
ესპანეთი — რუმინეთი
პორტუგალია — ჩეხეთი

**22 მარტი. მეოთხე ტური**
ჩეხეთი — საქართველო
რუმინეთი — რუსეთი
პორტუგალია — ესპანეთი

**29 მარტი. მეხუთე ტური**
საქართველო — რუმინეთი
რუსეთი — პორტუგალია
ესპანეთი — ჩეხეთი

# ბეზიეში ოთხი კაცი გვყავს



ვანო ნადირაძე და მევლუდ მთიულიშვილი ბეზიეშიც ერთად იქნებიან

**საქართველოს** ნაკრების მორკინალები მევლუდ მთიულიშვილი და ვანო ნადირაძე მომავალ სეზონს საფრანგეთის ჩემპიონატის უმაღლესლიგელ „ბეზიეში“ დაიწყებენ. ბორჯღალოსნებმა ახალ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

მთიულიშვილის და ნადირაძის „ბეზიეში“ მისვლით კლუბში ქართველთა რაოდენობა ოთხამდე გაიზარდა, მანამდე ქვეყნის 12-გზის ჩემპიონის ღირსებას გოდერძი შველიძე და ტარიელ რატიანიძე იცავდნენ.

ნადირაძე მეორელიგელ „ბურგან ბრესიდან“ გადავიდა „ბეზიეში“, მთიულიშვილი კი „აჟანიდან“, რომლის შემადგენლობაში წლეულს საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონი გახდა.

კლუბი გამოიცვალა კიდევ ორმა ბორჯღალოსანმა. საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი პალიკო ჯიმშელაძე „გრენობლიდან“ ელიტარულ „ორიიაკში“ გადავიდა. „ორიიაკშივე“ გააგრძელებს კარიერას შერკინების გამთამაშებელი ირაკლი აბუსერიძეც, რომელმაც ბოლო სეზონი თბილისის „ლოკომოტივში“ დაიწყო და ევროპის რეგიონთა თასზეც ითამაშა.

# კაცი ქუდზე, ნაკრები ზღვაზე

**დღეს** საქართველოს ნაკრების გაფართოებული, 33-კაციანი შემადგენლობა ბათუმში 10-დღიან შეკრებას იწყებს.

ბორჯღალოსნებისთვის ეს ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპია 2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირისთვის. სამგუნდა ჯგუფში ჩვენებურთა მეტოქეები ირლანდია და რუსეთი არიან. ქართველები ირლანდიელებს დუბლინში 28 სექტემბერს ეთამაშებიან, 5 ოქტომბერს კი რუსებს თბილისში უმასპინძლებენ. ჯგუფიდან ორი უკეთესი გადის და გაისად ავსტრალიაში მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს.

საბათუმოდ საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა კლოდ სორელმა ეს მორაგბეები გამოიძახა: *მევლუდ მთიულიშვილი (ბეზიე), ლევან ცაბაძე (მონფერანი), ტარიელ რატიანიძე (ბეზიე), გოდერძი შველიძე (ბეზიე), სოსო ნიკოლაენკო (რუმია), აქსენტი გიორგაძე (ტულონი), ლევან ჯაველიძე (ნანტი), ვიქტორ დიდებულიძე (ფიზაკი), ვანო ნადირაძე (ბეზიე), სერგო გუჯარაიძე (კრეზო), ზვიად მათიაშვილი (ნანტი), ბესიკ უდესიანი (კრეზო), დავით ბოლღაშვილი (უგუნდო), ირაკლი გუნდიშვილი (უნივერსიტეტი), გიორგი ჩხაიძე (სენ ნაზერი), ილია ზედგინიძე (ტულონი), ირაკლი აბუსერიძე (ორიიაკი), გუჯა იოვაძე (აგდი), ბობა კვინიხიძე (კასტრი 2), ოთარ ბარკალაია (ორბელი-ლელო), თედო ზიბზიბაძე (ტური), ვასილ კაცაძე (გრენობლი), კახა ალანია (ლოკომოტივი), გია ლაბაძე (ტულონი), ბადრი ხეხელაშვილი (ანგულემი), მალხაზ ურჯუკაშვილი (ტური), ბესიკ ხამაშურიძე (ტულონი), ვასილ აბაშიძე (ლოკომოტივი), ნიკოლოზ იურინი (ანდორა), მამუკა გორგოძე (ორბელი-ლელო), გიორგი ტრაპაიძე (ყოჩები), გიორგი ელიზბარაშვილი (აკადემია), გიორგი გეგიძე (აკადემია).*

ბორჯღალოსნებთან ერთად ბათუმში ახალგაზრდული ნაკრებიც ივარჯიშებს და დიდები და პატარები ერთმანეთში რამდენიმე სპარინგ-მატჩსაც გამართავენ. ბათუმში მომზადების გარდა ნაკრების წევრები აჭარის მთებშიც ავლენ ფიზიკური კონდიციების გასაუმჯობესებლად.

**ბაჩო სვანიძე**

**ტესტ-მატჩები**

ველინგტონი
**ახალი ზელანდია 64:18 ფიჯი**
იოჰანესბურგი
**სამხრეთ აფრიკა 49:29 არგენტინა**
სიდნეი
**ავსტრალია 31:25 საფრანგეთი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ სვანიძე



ლონდონიდან

## უიმბლდონი 2002

# მიდი, ტიმ!

## ჰენმანს მარტო მთელი ინგლისი კი არა, მსაჯებიც ამხნევებენ

### მსაჯები აქაც ცდებიან

1936 წელს ლეგენდარული ფრედ პერის გაჩემპიონებიდან მოყოლებული, დიდი ბრიტანეთი დიდი იმედებითა და გარდაუვალი იმედგაცრუებით ელის მასპინძელი ვაჟი ჩოგბურთელის გამარჯვებას. თუმცა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფინალშიც კი არავინ გასულა. ბოლო წლებში მას-მედიისა და გულშემატკივრების სულისშემხუთველ ზეწოლას ნისლიანი ალბიონის ორმა საუკეთესო წარმომადგენელმა — ტიმ ჰენმანმა და გრეგ რუზეცკიმაც გაუგეს გემო.

კანადაში დაბადებულ და გაზრდილ რუზეცკის ინგლისელები უფრო დაქირავებულ მეომრად მიიჩნევენ — ბრძოლის ველზე თუნდაც გმირულად დაცემის შემთხვევაში არავინ გამოიტირებს, მაგრამ ტრიუმფის შემდეგ მისი არაარიელობა ყველას უცებ გადაავიწყდება. მეორე მხრივ, ტიმ ჰენმანის მიმართ ბრიტანელთა დამოკიდებულება წლიდან წლამდე სულ უფრო ემსგავსება რელიგიურ თაყვანისცემას. უიმბლდონის ორი კვირის მანძილზე ასობით გულშემატკივარი „ოლ ინგლენდ კლაბის" სალაროებთან ათენ-ალამებს ბილეთებისთვის, ათასობით ადამიანი პირველი კორტის უკან ალმართულ გიგანტურ ეკრანთან სხდება, მილიონობით კი შინ ტელევიზორს უცქერს და ყველას ლექსიკონი ორი სიტყვით ამოიწურება — „მიდი, ტიმ".

ისტერია, როგორც წესი, ჰენმანის ნაციონალში მარცხითა და ცოდვების მონანიებით სრულდება, თუმცა უკეთესი მომავლის იმედს მასპინძლები არასოდეს კარგავენ. წლეულს ანდრე აგასის, პიტ სამპრასისა და მარატ საფინის მეორე წრეში გავარდნის შემდეგ „დეილი მეილმა" ინგლისის პირველ ჩოგანს პირველ გვერდზე სულაც ულტიმატუმი წაუყენა, თუ ამჯერადაც ვერ გაიმარჯვებ, სამშობლო არასოდეს გაპატიებსო (!).

უიმბლდონის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე რუზეცკი მცირე სკანდალში აღმოჩნდა ჩათრეული: მისმა ყოფილმა მწვრთნელმა და 1987 წლის „ოლ ინგლენდ კლაბის" ტრიუმფატორმა პატ კეშმა ავტობიოგრაფია გამოაქვეყნა, რომელშიც ექს-კანადელს ჰენმანის სიძულვილსა და შურში დასდო ბრალი — საათი არ გაივლიდა, ტიმზე რაიმე საძაგლობა არ ეთქვაო. ავსტრალიელის ასეთი „გულახდილობა" ძირითადად იმით აიხსნება, რომ რუზეცკისთან ფულის თაობაზე ხმაურიანი კამათი მოუვიდა და ანაზღაურების გარეშე დათხოვნა ჯერაც ვერ მოუნელებია.

ინგლისის მეორე ჩოგანი ჟურნალისტებმა მაშინვე ალყაში მოაქციეს და კეშის წიგნზე კომენტარის გაკეთება სთხოვეს — ნუთუ ჩვენმა ტიმმა რომ უიმბლდონი მოიგოს, არ გაგიხარდება? რუზეცკიმ თავის იოლად დაძვრენა არ ინდომა: „გამიხარდება, თუ ჩვენ ერთად დევისის თასს მოვიგებთ. ეს გუნდური ტურნირია, მაგრამ როცა მე დავმარცხდები ტურნირზე, საერთოდ აღარ მაინტერესებს, ჩემპიონი ჩემი თანამემამულე გახდება თუ ვინმე სხვა — ჩოგბურთი ინდივიდუალური და ეგოისტური სპორტია."

ასეა თუ ისე, ჯერჯერობით ორივე ინგლისელი წინ მიიწევს. მესამე წრეში რუზეცკიმ ამერიკელ ამომავალ ვარსკვლავ ენდი როდიკს ადინა ბდღვირი 6:3, 6:4, 6:2. მოიგო ჰენმანმაც, მაგრამ მის წარმატებას სამხრეთკორეული ფეხბურთის ტრიუმფის ელფერი დაკრავდა — ინგლისელს ხელი მსაჯებმა წააშველეს.



REUTERS უიმბლდონიდან

ტიმ ჰენმანს გამარჯვება უხარიანს

უეინ ფერერასთან შეხვედრა ინგლისელისთვის ძალიან მძიმე გამოდგა — ვეტერანი სამხრეთაფრიკელის მხარდასაჭერად ცენტრალურ კორტზე ლონდონში მყოფი იმდენი თანამემამულე გამოცხადდა, ლამის ჰენმანის გულშემატკივართა ხმის გადაფარვაც კი მოახერხეს. კარგა ხნის მანძილზე ფერერა მათ გმინვა-ღრიალის შესანიშნავ საბაბსაც აძლევდა. მკვლელი ფორჰენდითა და შესანიშნავი მილებებით მეტოქეს გამუდმებით ამწარებდა.

სამხრეთკორეულმა სინდრომმა მესამე სეტის ტაი-ბრეიკის ბედი გადაწყვიტა. ფერერა 4:1 იყო წინ, როდესაც მორიგი დარტყმისას ბურთი ზედ უკანა და გვერდითი ხაზების გადაკვეთაზე დასვა. იქვე მყოფმა გვერდითმა და უკანა მსაჯებმა აუტი არ დააფიქსირეს, მაგრამ მთავარმა რეფერიმ, პორტუგალიელმა ჟორჟე დიასმა ჰენმანის აღშფოთებულ გამოხედვას უფრო დაუჯერა და ქულა ინგლისელს მიუთვალა. არადა, სატელევიზიო გამეორების დროს მისი შეცდომა აშკარა გამოდგა.

„თუ სინდისი ოდნავ მაინც გააჩნია, უნდა მოვიდეს და ბოდიში მომიხადოს — ცოფებს ყრიდა პრესკონფერენციაზე სამხრეთაფრიკელი — ყველაფერი ჰენმანის ზეწოლის გამო მოხდა. ტიმს ბრალს არ ვდებ, ალბათ, მის ადგილზე მეც ასევე მოვიქცეოდი, მაგრამ მსაჯებს ფულს იმაში უხდიან, რომ წესიერად გაისარჯონ და მოთამაშეებს და გულშემატკივრებს თავი არ დააშინებინონ."

დიასის ჩარევის წყალობით ანგარიში 5:1-ის ნაცვლად 4:2 გახდა, ჰენმანმა საბოლოოდ ტაი-ბრეიკი 10:8 მოიგო და გუნებაწახდენილ მეტოქეს მეოთხე ხელში სულ ერთი გეიმი დაანება 7:6 (8:6), 3:6, 7:6 (10:8), 6:1.

„ის მომენტი ტელევიზორში არ მინახავს, ასე რომ, ზუსტად ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ თუ ბურთი მართლაც ხაზზე დავარდა, უეინს აღშფოთების უფლება ნამდვილად აქვს. მე არავის დაშინება არ მიცდია. ასეთ დაძაბულ სიტუაციაში ყველა იმედოვნებს, რომ მეტოქის დარტყმული მიზანს ასცდება, ჩემი რეაქციაც სწორედ ამით იყო გამოწვეული — თავი იმართლა ჰენმანმა — მიხარია, რომ მომდევნო წრეში გავაღწიე. წლევანდელ უიმბლდონზე იმდენი მოულოდნელი შედეგი ვიხილეთ, ნებისმიერმა მეტოქემ შეიძლება გაგამწაროს."

თავის მხრივ ფერერამ ინგლისელს მოწოდება დაუწუნა, სტაბილურობის მიზნით სიჩქარის შემცირება მეტოქეების წისქვილზე ასხამს წყალსო, თუმცა თან ცოტათი თავიც შეაქო, ჩემისთანა ძლიერი ბალახზე თამაშის ოსტატის დამარცხების შემდეგ ჰენმანს ბევრის მომატება არ სჭირდება, ისეც ერთ-ერთი მთავარი ფავორიტიაო.



REUTERS უიმბლდონიდან

ვენუს უილიამსი ჯერ უპრობლემოა

გუშინ საღამოს ინგლისელმა რამდენიმე მილიონ თანამემამულეს ტუჩებისსაკვნეტი კიდევ ერთი სეანსი მოუწყო. ჩვენებური ირაკლი ლაბაძის მძლეველ მიხელ კრატოხვილთან მატჩი ჰენმანს ოთხ საათზე მეტხანს გაეწელა და ალაგ-ალაგ ისე უილაჯოდ გამოიყურებოდა, კაცი იფიქრებდა, ველარაფერი გადაარჩენდა. 22 წლის შვეიცარიელს ცოტა მეტი თავდაჯერება რომ ჰქონოდა და ყველაზე უადგილო დროს ორმაგი შეცდომების დაშვების სიყვარული დაეძლია, დღევანდელი ინგლისური გაზეთები სამგლოვიარო წერილობით იქნებოდა სავსე.

კრატოხვილმა მეოთხე-მეხუთე სეტებში მეტოქისთვის მოწოდების ართმევის შემდეგ საფუძვლიანად აურია, ერთ სულელურ შეცდომას მეორეს მიაყოლა და პირველ კორტზე ნერვიულობისგან გაფითრებულ და ყვირილისგან ხმაჩახლეჩილ მაყურებლებს ეროვნული დროშების აფრიალების საბაბი გაუჩინა — 7:6 (7:5), 6:7 (2:7), 4:6, 6:3, 6:2 ჰენმანის სასარგებლოდ.

„დღეს თავს დილიდანვე ცუდად ვგრძნობდი, მუცელი საშინლად მგვრემდა. თავადაც არ ვიცი, ეს მატჩი რანაირად მოვიგე, გასახდელში ჩემს მწვრთნელ ლარი სტეფანკის ვეუბნებოდი, წესით, უნდა წამეგო-მეთქი. კრატოხვილის 17-მა ორმაგმა შეცდომამ და მაყურებელთა მხარდაჭერამ თუ მიშველა. ბოლოს ისე დავიღალე, ნერვიულობის თავიც კი არ მქონდა" — განაცხადა პირთამდე გაჭედილ საპრესკონფერენციო დარბაზში ჰენმანმა, რომელსაც სიარულიც კი შესამჩნევად უჭირდა.

### ქაფილი

უიმბლდონის ორგანიზატორები მატჩების განრიგის შედგენის დროს ცოტა უცნაური პრინციპით სარგებლობენ. დები უილიამსები რატომღაც მუდმივად ცენტრალურ და პირველ კორტებზე თამაშობენ, არადა მეტოქეებს, როგორც წესი, ისე იოლად ავლებენ მუსრს, ტრიბუნებზე მოკალათებულ მაყურებლებს დამარცხებულთა გვარების დასამახსოვრებელ დროს არ უტოვებენ. შედეგად გაცილებით საინტერესო მატჩებისთვის ადგილი მხოლოდ რომელიმე პატარა კორტზე გამოინახება-ხოლმე, სადაც თამაშის ხილვის მსურველთა რაოდენობა კატასტროფულად აღემატება ცარიელი საჯდომებისას, თანაც მას-მედიის საშვიც მხოლოდ რიგში ჩადგომის უფლებას იძლევა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით პირადი ფავორიტის — ბელგიელი ჟუსტინ ენენისა და ელენა დემენტიევას შეხვედრისთვის „ოლ ინგლენდ კლაბის" უკიდურეს, მე-13 კორტზე დაწყებამდე კარგა ხნით ადრე გამოვცხადდი, წინა მატჩის დასრულების შემდეგ მაყურებელთა დაფანტვით ვისარგებლე და ჩოგბურთელთა სკამების უკან მოვკალათდი.

ჩია ბელგიელი ზომა-წონაში WTA ტურზე ლამის ყველას ჩამოუვარდება, მაგრამ ქალთა ჩოგბურთში საუკეთესო ცალხელა ბექჰენდის პატრონია, ბადესთან თამაშიც არანაკლებ ეხერხება და ბევრის აზრით, უილიამსების მთავარი კონკურენტია უიმბლდონის მთავარი ჯილდოს მოპოვებაში.

ზემოხსენებულის კვალობაზე გუშინ ენენს მაინცდამაინც კარგად არ უთამაშია, აგრესიულად გარჯის ნაცვლად მოჭრილი დარტყმებით ამჯობინებდა ფონს გასვლას და მეტოქეს თავის დაძვრენის საშუალებას ხშირად აძლევდა. ერთ დროს თბილისის ლაა პირველობაზე მოასპარეზე დემენტიევა ბელგიელს თითქმის არაფერში ჩამოუვარდებოდა და ერთ ასპექტში გაცილებით აღემატებოდა კიდეც — განსაკუთრებით იოლი ბურთის გაფუჭების შემდეგ რუსი ისე გაჰკიოდა, მაყურებლები შიშისგან სკამზე შეხტებოდნენ-ხოლმე.

ენენმა პირველი სეტი ტაი-ბრეიკზეი მოიგო, მეორეში კი ანგარიში 4:4 იყო, როდესაც „ოლ ინგლენდ კლაბში" ჩვეული ამინდის — ანუ შავი ღრუბლებისა და თავსხმა წვიმის დრო დადგა. მზიანი პირველი კვირის შემდეგ ამინდის პროგნოზი არცთუ ოპტიმისტური იყო და მთავარმა მსაჯმაც პირველი წვეთების ჩამოვარდნისთანავე თამაშის შეწყვეტის შესახებ გამოაცხადა. კორტზე მაშინვე სპეციალურად მომზადებული გუნდი გაჩნდა, რომელმაც ბადე თვალის დახამხამებაში მოხსნა და ბალახს ბრეზენტი სირბილით გადააფარა. წუთიც და ისეთ დაუშვა, მაყურებლები სირბილით მიმოიფანტნენ თავშესაფრის ძიებაში.

წვიმის დროს მაყურებელთა უმეტესობა მახლობელ კაფე-რესტორნებს მიაწყდება-ხოლმე, ზოგი უიმბლდონის ძვირ და არცთუ საინტერესო მუზეუმში ამჯობინებს დროის გაყვანას, ყველაზე ოპტიმისტურად განწყობილები და გულადები კი თავსხმასაც არად დაგიდევენ და ქოლგას შეფარებულები ტრიბუნებზე ამჯობინებენ დარჩენას.

ამჯერად წვიმამ საათზე ოდნავ მეტხანს გასტანა, მერე მზის გამონათების და ჩოგბურთელთა უკან დაბრუნების ჯერი დადგა და თამაში დაახლოებით საღამოს შვიდის ნახევარზე განახლდა. ორსაათიანი იძულებითი შესვენების შედეგად რიჩარდ კრაიჩეკსა და მარკ ფილიპუსისს შორის დღის ცენტრალური შეხვედრის დაწყება და თითო ვაჟთა და ქალთა მერვედფინალის დასრულება ვერ მოხერხდა.

ენენსა და დემენტიევას რაც შეეხება, ვინძლო ამათაც დღეს გააგრძელებინათ თამაში, მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე რუსს სამი ორმაგი შეცდომა რომ არ დაეშვა და მეტოქისთვის თავად გადაელოცა გამარჯვება 7:6 (7:4), 7:6 (7:5) — მაყურებლებმა ყოველი შემთხვევისთვის თითები ყურში დაიცვეს, მაგრამ რუსს ბოლოსგან, ეტყობა, კივილიც გადაავიწყდა.




REUTERS უიმბლდონიდან

კლასიკური უიმბლდონური პეიზაჟი: რა თქმა უნდა, წვიმს

### ვაჟები

**მეოთხე წრე**

ტიმ ჰენმანი (4, ბრიტანეთი) — მიშელ კრატოხვილი (შვეიცარია) 7:6 (7:5), 6:7 (2:7), 4:6, 6:3, 6:2; ნიკოლას ლაპენტი (22, ეკვადორი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 3:6, 7:5, 2:6, 7:5, 6:3; ანდრე სა (ბრაზილია) — ფელიკანო ლოპესი (ესპანეთი) 6:3, 7:5, 4:6, 6:3; დავიდ ნალბანდიანი (28, არგენტინა) — უეინ არტურსი (ავსტრალია) 6:4, 7:6 (7:4), 2:6, 7:6 (9:7); ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 6:3, 6:3, 7:5; სხენგ შალკენი (18, ჰოლანდია) — იან ვაჩეკი (ჩეხეთი) 6:2, 7:5, 7:5

### ქალები

**მეოთხე წრე**

მონიკა სელეში (4, აშშ) — ტამარინე ტანასუგარნი (20, ტაილანდი) 6:2, 6:2; ამელი მორესმო (9, საფრანგეთი) — ლაურა გრენვილი (აშშ) 6:2, 6:2; დანიელა ჰანტუხოვა (11, სლოვაკეთი) — ელენა დოკიჩი (7, იუგოსლავია) 6:4, 7:5; ჟუსტინ ენენი (6, ბელგია) — ელენა დემენტიევა (12, რუსეთი) 7:6 (7:4), 7:6 (7:5); სერენა უილიამსი (2, აშშ) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:3, 6:3; ვენუს უილიამსი (1, აშშ) — ლიზა რაიმონდი (16, აშშ) 6:1, 6:1; ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) — მაგდალენა მალეევა (19, ბულგარეთი) 6:3, 6:4


REUTERS იოკოჰამიდან


REUTERS

# ბრაზიიიილ!


REUTERS რიო დე ჟანეიროდან

ასე მოხდა: დამარცხდა გერმანია და შუა ბერლინში ნირწამხდარი ბერლინელი ახალგაზრდობა დარდითა და ცრემლით გამოეთხოვა მსოფლიო თასზე ოცნებას, რაიც ოთხი წლით გადაიდო. საზეიმო მიწა კვირას სხვაგან იყო საძებარი: მთელი ეს უზარმაზარი მწვანე-ყვითელი ბრაზილია ბღაოდა, ცეკვავდა და მღეროდა. იოკოჰამაშიც, ერთ იაპონურ ქალაქში, სიგიჟე იყო, აღარ იყო გარჩევა ფეხმძიმე ქალისა და თამამი მოცეკვავისა. ქალთა სხეულებზე ბრაზილიის დროშა ფრიალებდა და რიო დე ჟანეიროში დალაქები გამალებით მუშაობდნენ, რათა პატარა ბიჭებს რონალდოდ ეგრძნოთ თავი. ბრაზილიის დედაქალაქ ბრაზილიაში კი ამ ქვეყნის პრეზიდენტი ენრიკე კარდოსო და მისი მეუღლე რუთი აფრიალებდნენ ეროვნულ დროშას ალვორადას სასახლის ეზოში.

ბრაზილია ზეიმობდა და ალბათ ახლაც ზეიმობს, იმდენხანს ზეიმობს, რომ ამ ზეიმის ბოლოს ეგებ თბილისიდან კვირა ღამით გაფრენილმა ტანია მარიამაც კი ჩაუსწროს.

რა ეხერხება ბრაზილიას და — ფეხბურთი.

რა ეხერხება ბრაზილიას და — ზეიმი.

თითქოს ორივე ამ უცნაური, ლამაზი და გიჟური ქვეყნისთვის მოუგონიათო.



REUTERS იოკოჰამიდან



REUTERS ბერლინიდან



REUTERS იოკოჰამიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გია აბულეძიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია აბალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეხელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge